CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 26 ოქტომბერი, 2004 წელი. №248 (4977) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

◉ თბილისობა – 2004

## რეპეტიცია – დღესასწაული





როცა ჩამთავრდა თბილისობა და დედაქალაქის მომავალი სადაგი დღეებისთვის ჩაფიქრების დრო დადგა (არ დაგვავიწყდეს, რომ თბილისის ახალმა მერმა ზეიმის დევიზად სწორედ ეს სიტყვა — „ჩაიფიქრე“! — შემოგვთავაზა), მეც ბევრი ვიფიქრე და მაინც ვერ მოვუძებნე გამართლება ზურაბ ჭიაბერაშვილის ზედმეტ თავმდაბლობას, — ეს მხოლოდ რეპეტიცია იყო და ნახეთ, თბილისობა-2005, თბილისობა-2006 და ასე შემდეგ, რა ლამაზი და დაუვიწყარი იქნებაო...

შესაძლოა, მთლად ასე არ უთქვამს მაგრამ, სიტყვა რეპეტიცია რომ რამდენჯერმე გაიმეორა, — ფაქტია. წინა დღეებში კი წარსულ თბილისობებზე გამართულ „სახალხო“ ღრეობებსა და ბაზრად ქცეულ ქუჩა-მოედნებს, საზეიმოდ „ჩაბარებულ“ ობიექტებსაც გადაწვდა, — მსგავსი რამ აწი აღარ განმეორდებაო. ორი-სამი წლის შემდეგ რა (ან ვინ!) იქნება, მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის. ზედმეტი თავმდაბლობაც თითქმის გაუგებარი იყო, რადგანაც თბილისობა-2004 ფრაგმენტული კონცერტებით და უცხოელი მუსიკოსების გამოსვლებით, სახელობითი ვარსკვლავის გახსნით, საპატიო თბილისელების არჩევით, შარდენის ქუჩაზე დადგმული ორდღიანი შეჯიბრებებით, რესპუბლიკის მოედანზე, სასტუმრო „ივერიის“ ტერასაზე გამართული დასკვნითი კონცერტით არაფრით ჩამოუვარდებოდა, არც თბილისობა-1979-ს და არც თბილისობა-2003-ს... ოღონდ ეგ კია, — თბილისობა-2004-ს აკლდა ხალხი, გაღიმებული, გახარებული ხალხი და ბავშვების ჟრიამული. არადა, კვირას, თბილისობის ბოლო დღეს, საოცრად ჩამთბარ-ჩამტკბარი ამინდი და ოქროსფერი შემოდგომის შესატყვისი, მართლაც ამაღლებული განწყობა სუფევდა.

იხ. მე-6 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:


**სახეები და სიტუაციები**



გაზეთი განაგრძობს მწერალ გურამ ბათიაშვილის ებრაული ჩანაწერების ბეჭდვას. დღევანდელ პუბლიკაციაში მოთხრობილია წლეულს, 27 ივლისს, ანუ ებრაული კალენდრით 9 აბის დღეს ისრაელში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სტუმრობის ამბავი. ეს იყო ისტორიული, ერთობ ღირსსახსოვარი მომენტი: საქართველოს პრეზიდენტი შოთა რუსთაველის საფლავთან მივიდა.
მე-3-5 გვ.

**თბილისელი იმერული აქცენტით**



ვანიკო მაჭავარიანი მართლაც განსაკუთრებულია იმ ექვს კაცს შორის, წლეულს რომ საპატიო მოქალაქეებად აღიარეს, სწორედ ამაზე წერს ჟურნალისტი ვილენ მარდალეიშვილი.
მე-4 გვ.

**ჩაუმქრალი ვარსკვლავები**



რუბრიკით – „მშვენიერება სულისა“ ხელოვნებათმცოდნე დიანა კესნერი მოგვითხრობს მსახიობ დამანა მდივნიშვილის ცხოვრების გზაზე. ბათუმის დრამატული თეატრის სცენას დღესაც ახსოვს ეს ჩინებული ქალბატონი, რომელსაც არასოდეს უღალატია ხელოვნებისთვის.
მე-5 გვ.


◉ პარლამენტის თავმჯდომარე

## ნინო ბურჯანაძე ადანაშაულებს



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოებს, დილით სეპარატისტების მხრიდან განხორციელებული სროლებისას, არაადექვატურ მოქმედებებში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა სწორედ რუსულ სამშვიდობო ძალებს ეკისრებათ.**

როგორც ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, თუ სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში სიტუაციას ვერ აკონტროლებენ, მაშინ იქ მათ ყოფნას აზრი ეკარგება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება არასოდეს დაეთანხმება იმ ფაქტს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში იდგნენ და სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფის ფუნქცია ჩამოიცილონ.

* * *

**თურქი მესხების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს საქართველო ჯერჯერობით ვერ შეასრულებს. ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის სხდომაზე, რომელიც პარლამენტში ამ წუთებში მიმდინარეობს.**

ბურჯანაძის განცხადებით, მსგავსი განცხადების გაკეთების საფუძველს მას საქართველოში მოუგვარებელი კონფლიქტები და 300 ათასი დევნილის არსებობა აძლევს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოში არსებულ კონფლიქტებს გაყინულს უწოდებენ, თუმცა აღნიშნული განმარტება მცდარია, რადგან კონფლიქტების მოგვარების პროცესია თავად გაყინული და არა თავად კონფლიქტები.

მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის სხდომას ორი რუსი წევრი – ლეონიდ სლუდსკი და კონსტანტინე კოზაჩევიც დაესწრნენ.

* * *

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის წამების ფაქტებთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია.**

როგორც ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მისთვის მიუღებელია ნებისმიერი ადამიანის უფლებების დარღვევა. – თუ სულხან მოლაშვილის წამების ფაქტები დადასტურდა, ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

◉ პრემიერ-მინისტრი

## დედაქალაქს განახლებული თეატრი შეემატება

**ახალ წლამდე დედაქალაქს განახლებული, საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებული მუსიკალური თეატრი შეემატება, რომელიც „გადამხდელთა კავშირის“ თავმჯდომარის ბადრი პატარკაციშვილისა და კავშირის წევრი ბიზნესმენების ფინანსური ხელშეწყობით უახლოეს მომავალში გაიხსნება.**

„მუსკომედიის თეატრი“ გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, ბადრი პატარკაციშვილმა და სხვა ბიზნესმენებმა მოინახულეს და იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაათვალიერეს.

თეატრში მისულმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ბიზნესკონსორციუმის შექმნისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურული ცენტრის დაფუძნების ინიციატივა წამოაყენა. ამის საფუძვლად ჟვანიამ „თი-ბი-სი ჯგუფის“ ინიციატივა დაასახელა, რომელიც თეატრის მახლობლად მდებარე ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე კინოქალაქის დაფუძნებას ისახავს მიზნად. – ეს იქნება უნიკალური შანსი ბიზნესისა და ხელოვნების ჰარმონიზაციაში მოსაყვანად, – აღნიშნა ჟვანიამ.

თავად მუსიკალურ თეატრს პრემიერმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა და აღნიშნა, რომ მისი სახით თბილისს სუპერთანამედროვე თეატრი ექნება.




◉ რუსული პრესიდან

მიხეილ სააკაშვილი:

## ვლადიმერ პუტინში ბევრი რამ მომწონს

**ამას წინათ 30 რუსეთელმა ჟურნალისტმა საქართველოს ხელმძღვანელობის მოწვევით თბილისი მოინახულა. ღონისძიებას მედიაფორუმი ეწოდა. შეკრების დევიზი: „მოდით, ერთმანეთს ქათინაურები ვუთხრათ“. მედიაფორუმმა, პრაქტიკულად, გაუთავებელი ქართული სუფრის ვითარებაში ჩაიარა, რაც ყოველგვარ ობიექტურობას გამორიცხავს ან რომელ ობიექტურობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ორივე მხრიდან გულითადობის ასეთი მოზღვავება იგრძნობოდა?**

**ჟურნალისტებს შეხვდნენ ქართველი პრემიერი ზურაბ ჟვანია, კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე, ქართველ გადმხდელთა კავშირის თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი (ბოლო ორს, ჯერ კიდევ მოსკოვიდან, კარგად იცნობს მოწვეულთა უმრავლესობა). მიხეილ სააკაშვილი კი რუსეთულ პრესასთან ზედიზედ ორი საათი საუბრობდა.**

**ქვემოთ მოგვყავს საქართველოს პრეზიდენტის შესავალი სიტყვის ფრაგმენტები, პასუხები ჩემს შეკითხვებზე და ზოგი რამ სხვათა შეკითხვების პასუხებიდან (შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები ირინა პეტროვსკაია, ვერონიკა კუცილო, არკადი დუბნოვი და სხვანი).**

### პრეზიდენტის მონოლოგი

– არ ვიცი, ვინ ცდილობს ჩემს მიმართ პროლეტარული მრისხანების გამოწვევას, როცა დოკუმენტური კინოს ერთ შედევრში იუწყება, თითქოს ამერიკის დიდი პროექტი ვიყო; იმისთვის გაშვებული, რომ რუსეთმა თავისი მთავარი კავკასიური პლაცდარმი დაკარგოს... ვის სჭირდება ეს, ვინაა დაინტერესებული აბსოლუტურად ცარიელ ადგილზე მტრის ხატის შექმნით – ვარაუდითაც კი ვერ გეტყვით. უბრალოდ, არიან ადამიანები, რომლებიც კომფორტულად თავს მხოლოდ მტრის ხატის არსებობისას გრძნობენ.

ანტიქართული პროპაგანდის მოწოლა მკვეთრად გაძლიერდა აჭარაში აბაშიძის რეჟიმის დაცემის შემდეგ, თან ესეც ერთბაშად როდი მომხდარა... ბატონი აბაშიძე ტიპური შუასაუკუნეობრივი დიქტატორი იყო თავისი ძერებითა თუ ძაღლებით, რომლებიც გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე პატრონის ქვეშევრდომნი. აბაშიძისთანა ადამიანები მხოლოდ საკუთარი თავისთვის არიან საიმედო მეგობრები – სხვისთვის არა.

მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს „ვარდების რევოლუცია“ უხვად ფინანსდებოდა საზღვარგარეთიდან. მომიწევს კონსპიროლოგთა გაწბილება: ქვეყნის ყოველ მესამე მცხოვრებს ქუჩაში ვერავითარი ფულით ვერ გამოიყვან. შარშანდელ შემოდგომაზე სამასზე მეტი შეხვედრა და გამოსვლა მქონდა, ათიათასობით ადამიანს ჩამოვართვი ხელი და ვიცი, რომ ხელისუფლებაში უცხოეთის სახელმწიფოებმა კი არ მოგვიყვანეს, არამედ საქართველოს ხუთმილიონიანმა მოსახლეობამ – ქართველებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ოსებმა. გარედან დახმარებას არც არავის ვუმადლით. რუსეთს არასოდეს დავშორებივართ, მე ყოველთვის მიყვარდა და მეყვარება რუსები – როგორც არ უნდა მაიძულებდნენ ამაში დაეჭვებას.

განსაკუთრებით უცნაურად მეჩვენება ლაპარაკი, აქვე ვიტყვი სრულიად დაუსაბუთებელი, – აქაოდა, საქართველო რალაცნაირად ჩეჩენი ბოევიკებისა და ბესლანის ტრაგედიისაც კი თანაზიარიაო. არადა, ბესლანელ ბავშვებზე მთელი ჩემი ქვეყანა ლოცულობდა. შამილ ბასაევი რომ ყოველი ქართველისავის საძულველია, რა – ამას თქმა უნდა? 1992 წლის აფხაზეთის ამბებში, როცა მისი რაზმელები ქართველთა მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, მის როლს გახსენება უნდა? ჩვენ რუსეთს საზღვრების ერთობლივი პატრულირება შევთავაზეთ. რატომღაც ამ წინადადებას ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. ჯერჯერობით მიღწეულია მხოლოდ შეთანხმება ვერტმფრენებით საზღვრების ერთობლივი შემოფრენის შესახებ.

ლაპარაკიც კი არ შეიძლება რუსეთისა და საქართველოს რაიმე, სამხედრო დაპირისპირებაზე. დღეისთვის საქართველოს მთელი არმია ათი ათას კაცს შეადგენს. ჰოდა, ასეთი ძალებით დაპირისპირებაზე ფიქრი? მადლობა უნდა გადავუხადო რუსეთის არმიას სწორედ იმისთვის, რომ არ მისცა თავს კონფლიქტში ჩართვის ნება, ვთქვათ, აჭარის ამბების დროს.


Михаил Саакашвили: Мне многое нравится в Путине

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

### შეთანხმება კვლავ დაარღვია

**გუშინ დილით დაახლოებით 05.00 საათზე სეპარატისტული მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო პოზიციებიდან დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით ცეცხლი სხვადასხვა ტიპის მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან გაიხსნა.**

**როგორც ინტერ-პრესის კორესპონდენტი კონფლიქტის ზონიდან იტყობინება, სოფელ აჩაბეთში დაზიანებულია ქართველი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები.**

**სოფელ აჩაბეთში მცხოვრები გოდერძი ზოზიაშვილის საცხოვრებელ სახლს კი ოსური პოზიციებიდან ნასროლი რამდენიმე ჭურვი მოხვდა, რის შედეგადაც სახლი მთლიანად ამორტიზირებულია. საბედნიეროდ აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

**დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა უკიდურესადაა აღშფოთებული და დაცვის გარანტიას ითხოვს.**

### არჩევნებში მონაწილეობა 65 350 ამომრჩეველმა მიიღო

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით ოთხ საარჩევნო ოლქში გუშინწინ ჩატარებულ შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა 65 350 ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 36,3 პროცენტს შეადგენს.**

**როგორც ინტერ-პრესს ცსკ-ის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ნონიკაშვილმა განუცხადა, წინასწარი მონაცემებით, დიდუბის რაიონში „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ კანდიდატმა თემურ ჭეიშვილმა გაიმარჯვა. ნონიკაშვილი ჯერჯერობით არ ფლობს ინფორმაციას კრწანისის საარჩევნო ოლქში, წინასწარი მონაცემებით, გამარჯვებული კანდიდატის შესახებ.**

**რაც შეეხება გორის საარჩევნო ოლქს. იქ წინასწარი მონაცემებით პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის“ წარმომადგენელმა ჯუმბერ პატიაშვილმა გაიმარჯვა, რომელსაც მხარს სახელისუფლებო პარტია უჭერდა. ზესტაფონის რაიონში კი უკვე დაზუსტებულია გამარჯვებული მაჟორიტარის ვინაობა, რომელიც ამ ოლქში უალტერნატივო კანდიდატი იყო. არჩევნების შედეგად ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი თეიმურაზ ცერცვაძე გახდა.**

**ზურაბ ნონიკაშვილის განცხადებით, არჩევნების საბოლოო შედეგები 14 დღეში გახდება ცნობილი. წინასწარი საბოლოო მონაცემები კი სა-**

### პრეზიდენტის სურათები სოხუმის ფილარმონიაში გამოფინეს

**სოხუმის ფილარმონიის შენობაში, სადაც აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატის რაულ ხაჯიმბას მომხრეები არიან შეკრებილნი, დაუდგენელმა პირებმა ღამის საათებში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სურათები და საქართველოს სახელმწიფო დროშები გამოფინეს.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ფილარმონიის შენობაში ხაჯიმბას მომხრეებთან შესახვედრად სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა, თავად ხაჯიმბა და უშიშროების მინისტრი მიხეილ ტარბა მივიდნენ. ნოდარ ხაშბამ მომხდარი ქართული მხარის პროვოკაციად შეაფასა.**

გვერდში გამოყენებულია სააგენტო ინტერ-პრესის მასალები.

## ინტერპანორამა



**THE GLOBE AND MAIL: პეკინი ზრდის სამხედრო ძლიერებას ტაივანთან საბრძოლველად**

**ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის რჩეული ჯარები საწვრთნელ სწავლებას გადიან მდინარე მინზე და ერთხელაც გაიჭრებიან ტაივანისკენ, რომელიც ჩინეთს თავის სუვერენულ მიწა-წყლად მიაჩნია და მუდმივად ემუქრება, რომ აუცილებლად შეიერთებს, – წერს კანადის ერთ-ერთი გამოცემა.**



**არიელ შარონი: ირანი ნემსის ყუნწში ძვრება, რათა როგორმე შექმნას ბირთვული იარაღი**

**პალესტინის ავტონომიასთან გამიჯვნის თაობაზე თავისი გეგმის მიხედვით ქნესეტში დებატებს რომ ხსნიდა, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს ირანი, რომელიც ქმნის ბირთვულ იარაღს და „სირიასთან და ლიბიასთან ერთად უზარმაზარ ტერორისტულ ქსელს ხლართავს“.**



**ინდოეთის მცხოვრები ერთდროულად ორივე ხელით სხვადასხვა ენაზე წერს**

**როგორც 53 წლის ამანულა ამბობს, ბავშვობიდან ცაცია იყო, მაგრამ სკოლაში მარჯვენა ხელის ხმარებაც უსწავლებიათ. შემდეგ უკვე თვითონ დაუწყია ვარჯიში ორივე ხელით წერაში, თანაც სხვადასხვა ენაზე.**

CYAN BLACK

დღის თემა

# საბიუჯეტო პროცესი დალხენილ ქვეყნებშიც მტკივნეულად მიმდინარეობს

[illegible]

...ში პარლამენტს გარეკვა ემუქრება, გარწმუნებთ, ახალ პარლამენტში ჩვენ უფრო სერიოზული წარმომადგენლობით მოვხვდებით, ვიდრე დღეს ვართ. თუმცა, სიტუაციის ისე განვითარება, რომ ან [illegible]

[illegible] ნიშანს ბადებს.

კანონპროექტის მომხრეთა აზრით კი, მართალია, 2005 წლის ბიუჯეტი სასურველია უკეთესი იყოს, მაგრამ იგი წინამორბედ დოკუმენტებთან შედარებით [illegible] რთა გაზიარების შედეგად პარლამენტი ბიუჯეტის პროექტს აუცილებლად დაამტკიცებს.

**მზია გელენავა.**

ერთი კარგი წელიწადი

# როცა ერი ერობს, მტერი ვერა მტერობს

**ახლანდელი მთავრობის კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე ის კაცია, ვინც ძველი მთავრობიდან მოდის. მის თვალწინ მოხდა ყველა ის ცვლილება, რამაც ასე მოულოდნელად შეცვალა ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, უფრო რადიკალური და ქმედითი გახადა ხელისუფლება.**

რატომ იყო აუცილებელი „ვარდების რევოლუცია"? რა იგრძნობოდა მაშინდელ ხელისუფლებაში? რომ არა მომხდარი, საით წავიდოდა ქვეყანა? რას ფიქრობდნენ ჩვენზე უცხოელები, რომელთაც მილიარდები ჩადეს საქართველოს განვითარებისთვის, შედეგი კი არ ჩანდა? — აი კითხვები, რომლებიც ჩემი კანცელარიაში სტუმრობისას დავუსვი ბატონ პეტრეს და მანაც აქედან დაიწყო:

**— მინდა** შეგახსენოთ ბოლო სამი წელიწადი „ვარდების რევოლუციამდე". სამწუხაროდ, ამ წლებში უფრო და უფრო იგრძნობოდა უძრაობა სახელმწიფოსა და ქვეყნის განვითარების სფეროში. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ერის არსებობის ფორმაა. გასაგებია, რას ნიშნავს, როცა სახელმწიფო არ ვითარდება. უფრო მეტიც, ამაზე მაშინდელი ხელისუფლება საჯაროდ ბევრს კი ამბობდა, მაგრამ კორუფცია და ძალადობა ზედა ეშელონებში მაინც მძლავრობდა.

ამ დროს საინტერესოა ჩვენი უცხოელი მეგობრების აზრი. მოწმე ვარ იმისა (მეც მიწევდა ხოლმე მათთან შეხვედრები), რომ მათ გული ძალიან სწყდებოდათ ქვეყანაში მიმდინარე ამბებზე. პირდაპირ გვეუბნებოდნენ, გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ შედგა, რომ საქართველოს ხელისუფლება იმ ძირითად ფუნქციებს, რაც სახელმწიფოს ეკისრება, ვერ ასრულებს...

თავიდან გვეუბნებოდნენ, კორუფციას უფრო მეტად შეებრძოლეთო, მერე — კორუფციას ვერ ებრძვითო და პირშიც გვახლიდნენ, არც გინდათ, ებრძოლოთო, ვინ იცის, მაღალ ეშელონებში ვიღაცეები კიდეც უწყობენ ხელს კორუფციის განვითარებასო!

სამწუხაროა, რომ გარდა კორუფციისა, თითქოსდა მარტივი ვალდებულებებიც, ვთქვათ, რომელიღაც დიდი საწარმოს აუდიტი, ვერ სრულდებოდა. რატომ არ აკონტროლებდნენ, რატომ არ შედიოდნენ? ასე მოვდიოდით, უფრო და უფრო იძაბებოდა ვითარება. იზოლაცია უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ხდებოდა, ხოლო რასაც ფიქრობდა ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ეს უკვე ყველასთვის ცხადი იყო.

ჩვენ გვახსოვს, შარშან გაზაფხულსა და ზაფხულში თუ რა განწყობა იყო მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში, სოფლად თუ ქალაქად. ამ ფონზე ჩატარდა პარლამენტის არჩევნებიც, რომელიც მაშინვე გამოცხადდა გაყალბებულად როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამკვირვებლების მიერ. იგი არ ასახავდა ქართველი ხალხის ნებას.

სულ რამდენიმე დღეში კი, ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან ეუთო, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, გამოაცხადეს, რომ საქართველოში ჩატარებული ორი ნოემბრის არჩევნები არალეგიტიმური იყო...

იხ. მე-3 გვ.

გზად მომავლისკენ

# ჩვენ დავიწყეთ არა ნულიდან, არამედ მინუსიდან



**ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის" იუბილესთვის ემზადება. ჯერჯერობით ერთი თვე კიდევ არის დარჩენილი, რათა მან გადახედოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 12 პუნქტისგან შემდგარ ძირითად საპროგრამო ამოცანებს, შეაფასოს, ამ ერთი წლის განმავლობაში რა გაკეთდა, რომელი საკითხი დარჩა მოსაგვარებელი, სამომავლოდ რა გზით უნდა განვითარდეს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა.**

**ქვეყნის მესვეურნი ხშირად ამბობენ, „ბანანის რესპუბლიკას" არ უნდა დავემგვანოთო. ეს გამოთქმა დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ დროულად არ მოხდა ეკონომიკური აღმავლობა და სოციალური პრობლემების მოგვარება. თუმცა სჯობს ამ საკითხებში თავად სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს მოვუსმინოთ. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი გიგა ბოკერია თავიდან შეეცადა ამ შეკითხვაზე ზოგადი პასუხით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ...**

— ბევრად მეტია გასაკეთებელი, — გვითხრა მან, — რევოლუციის ტალღამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა იმედით აღავსო, საშუალება მოგვცა მოსალოდნელზე მეტი გაგვეკეთებინა. და ეს მშვენივრად მოვახერხეთ.

რევოლუციური ცვლილებები უნდა გაგრძელდეს. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, — დროა სახელმწიფო ნორმალური ცხოვრების რელსებზე გადავიდეს. ეს ძალიან სერიოზული გამოწვევაა, ფაქტობრივად, ჩვენ ყველანი უნდა გადავეწყოთ.

**— კონკრეტულად რას იტყოდით? თქვენი აზრით, რომელი საკითხები მოგვარდა წარმატებით, რითი ხართ უკმაყოფილო?**

— მე არა ვარ ყველაზე მიუკერძოებელი წყარო. ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი ვარ, ამიტომ ვფიქრობ, რევოლუციის შემდგომი ამოცანა — კონკრეტულ რელსებზე ქვეყნის დაყენება, განხორციელდა, მოწესრიგდა საბიუჯეტო საკითხები, განეიტრალდა კრიმინალური დაჯგუფებები, ვინც ფაქტობრივად აკონტროლებდა ქვეყანას, უწინარესად კი, წარმატებით გადაიჭრა აბაშიძის პრობლემა.

ამასთან, რეალური ბრძოლა გამოეცხადა კორუფციას. აქ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური ნება გამოვლინდა — კორუფციის წინააღმდეგ ყოველდღიური, ინტენსიური ბრძოლის დაუნახაობა კი არ ეგების.

დაიწყო, აგრეთვე, სახელმწიფო ბიუროკრატიაზე შეტევა მატერიალური თვალსაზრისით, რაც გულისხმობს მათთვის პასუხის მოთხოვნას, ქონების ჩამორთმევას. ესეც მნიშვნელოვანი საკითხია.

თუმცა არ მინდა, ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ხელისუფლება კმაყოფილია. მას იმდენად მძიმე, 12-წლიანი მემკვიდრეობა ერგო, შეუძლებელია, ერთ წელიწადში ყველა პრობლემა გადაეჭრა. ხალხს კი ერთი კარგი თვისება ახასიათებს — რაც უნდა გაკეთდეს, უფრო მეტს ითხოვს. ასეც უნდა იყოს, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, ჯერ ისევ ძალზე ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ.

**— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებას ხელისუფლება ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად აყენებდა...**

— აბაშიძე ვახსენე და ამით, ფაქტობრივად, მინდოდა მეთქვა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყნის გამთლიანებისკენ. აბაშიძის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე სხვა პრობლემებზე საუბარიც კი შეუძლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ჩვენი ხელისუფლებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებია. მათ მოსაგვარებლად საჭირო იყო იმ ზომების მიღება, რომელიც უკვე ვახსენე, ანუ ჩვენი ხელისუფლების რეალური ძალაუფლების გავრცელება აჭარის რეგიონში.

საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, აღიკვეთა კონტრაბანდა, აქტიურად დაიწყო შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ესეც ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

შევარდნაძის რეჟიმის შემდეგ, მკაცრი რეალობის წინაშე დავდექით — ჯარი საერთოდ არ გვყავდა, არსებობდა მხოლოდ ამერიკული პროგრამის მიხედვით მომზადებული ოფიცრების რაღაც კორპუსი. სხვა ყველაფერი კი, რაც ნამდვილი არმიის ჩამოყალიბებას სჭირდება, შეიძლება თქვას, რომ ნანგრევებში იყო მოქცეული.

ჩვენ დავიწყეთ არა ნულიდან, არამედ მინუსიდან. მინუსიდან უკვე ამოვედით, მაგრამ კიდევ მრავალი რამ უნდა გაკეთდეს, რომ ეფექტიანი, სათანადოდ დაფინანსებული და მოწესრიგებული შეიარაღებული ძალები გვყავდეს.

**— ეკონომიკა? მაინც ძნელად იძვრის...**

— ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შემოსავლების ზრდაზეა დამოკიდებული. შემოსავლების სერიოზული ზრდა კი უკვე შეიმჩნევა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. უფრო მეტი ძალისხმევაა აუცილებელი, რათა ქვეყანა მოღონიერდეს, რეალურად გამთლიანდეს.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი.**

ინფორმაცია

**კობა ნარჩემაშვილი მოითხოვს**

**საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან შეხვედრას მოითხოვს. ამის შესახებ ინტერ-პრესთან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა.**

**საქართველოს ყოფილი შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ეჭვმიტანილია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და საბაჟო წესების დარღვევის მცდელობაში. კობა ნარჩემაშვილი ამ დროისთვის უშიშროების წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.**

* * *

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის დაკავების საქმესთან დაკავშირებით, გამოძიებას წინა ხელისუფლების პირველი პირების კავშირებით დაინტერესებას ურჩევს.**

**როგორც ინტერ-პრესთან საუბრისას თევდორაძემ განაცხადა, საქმე ეხება იმ ცრემლსადენი ნივთიერების შემოტანას, რომლის გამოყენებაც საერთაშორისო კონვენციით აკრძალულია და ამ კონვენციას თავად საქართველოც უერთდება. მისი აზრით, გადაწყვეტილებას შს ყოფილი მინისტრი თვითნებურად ვერ მიიღებდა და ქვეყანაში ცრემლსადენი გაზის შემოტანის საკითხი უფრო მაღალ ეშელონებში — ყოფილი პრეზიდენტისა და ყოფილი სახელმწიფო მინისტრის დონეზე გადაწყდა.**

**სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2**

**საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2 5 000 ლარით დააჯარიმა.**

**როგორც ინტერ-პრესს კომისიაში განუცხადეს, რუსთავი-2-მა 2004 წლის 24 სექტემბერს ტელეეთერით მხატვრული ფილმი „ალყაში 2" გადასცა, რომლის ჩვენებაზეც შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნდა. აღნიშნული ფილმის საქართველოს ტერიტორიაზე ორჯერადი ჩვენების ექსკლუზიური უფლება ტელეკომპანია „იმედს" აქვს მოპოვებული.**

**„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ რუსთვი-2-ს კინოფილმის ტელეეთერით გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, რაც სამაუწყებლო კომპანიამ ვერ უზრუნველყო. რუსთავი-2-ის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ მხატვრული ფილმი „ალყაში 2" ულიცენზიოდ გადაიცა საჯაროდ.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2-ს 30 დღის განმავლობაში 5 000 ლარის გადახდა დაეკისრა.**

**ინტერ-პრესი.**

ჯარი

# საშემოდგომო გაწვევის აქტიური ეტაპი დაიწყო

**დღეიდან, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევის აქტიური ეტაპი დაიწყო. ყველა ახალგაზრდა, ვინც გაწვევას ექვემდებარება, ვალდებულია წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში გამოცხადდეს.**

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საშემოდგომო გაწვევის პროცესი 12 ოქტომბრიდან დაიწყო, თუმცა ეს პერიოდი საორგანიზაციო საკითხებს და წვევამდელებისთვის შეტყობინებათა გაგზავნას დაეთმო.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობა 2300 კაცით განისაზღვრა. აქედან, გაწვეული კონტინგენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში, სასაზღვრო ძალებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და უშიშროების სამინისტროში გადანაწილდება.

რაც შეეხება სამხედრო უწყებას, თავდაცვის სამინისტრომ, სისტემაში მიმდინარე ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით, წვევამდელთა მიღებაზე უარი თქვა. 1 ნოემბრიდან კი, მას შემდეგ, რაც შინაგანი ჯარები გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში გადავა, იქ გაწვეული ახალგაზრდები შეიარაღებულ ძალებში გადანაწილდებიან.

საშემოდგომო გაწვევა 25 დეკემბერს დასრულდება.

**ინტერ-პრესი.**

რუსული პრესიდან

## მიხეილ სააკაშვილი:

# ვლადიმერ პუტინში ბევრი რამ მომწონს



(პირველი გვერდიდან)

**„ამინდის ევროპულ პროგნოზებში საქართველოს მოხსენიება დაიწყეს"**

**— რას მიიჩნევდით მთავარ წარმატებებად ხელისუფლებაში ყოფნის ათ თვეში?**

— ჩვენ საქართველო მსოფლიოს რუკაზე დავაბრუნეთ. ჩემთვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ის, რომ საქართველოს ამინდის ევროპულ პროგნოზებში დაუწყეს მოხსენიება. ქვეყანა მსოფლიო კონტექსტში ჩაეწერა, აქ ინვესტიციები წამოვიდა, ემიგრანტებმა დაიწყეს დაბრუნება. ორნახევარჯერ გაიზარდა ბიუჯეტი. გავაუქმეთ სახელმწიფო ავტოინსპექცია — ის ქრთამების მოკრების ლეგალური ინსტანცია გახლდათ და ამით ამოწურავდა თავის ფუნქციებს. აგრეთვე იღებდნენ ერთ-ორ ლარს, დავუშვათ, თბილისში ავტომობილით გავლისათვის... დაახლოებით ორჯერ შემცირდა აპარატი, უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა სამინისტროში. საზღვარზე ამოვქოლეთ საკონტრაბანდე ხვრელები. წესრიგი დავამყარეთ აჭარაში. არა ძალისმიერი, არამედ, პირველ რიგში, ეკონომიკური ზომებით ვგეგმავთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას: ოსეთსა და აფხაზეთზე ვლაპარაკობ.

**— კი მაგრამ, ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქენი დიდი ენთუზიაზმით იღებდნენ რუსეთის პასპორტებს...**

— თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ისინი ასეთივე ენთუზიაზმით მიიღებდნენ მოზამბიკის რესპუბლიკის პასპორტებსაც, თუკი იგი ჩაიფიქრებდა იქ პასპორტიზაციის დროულად ჩატარებას. რუსეთთან ურთიერთობებში გონივრული კომპრომისისთვის ვართ განწყობილი. ამ აზრით ეგებ იდეალური ხელმძღვანელობაც ვიყოთ: შეგვიძლია თავს დათმობებზე წასვლის ნება მივცეთ, სახალხო ნდობის დიდი კრედიტი გვაქვს. კომპრომისი მარტო ერთი პუნქტით არ გამოვა: არ შეგვიძლია ჩვენი ტერიტორიის მესამედის დათმობა, რა საჭიროა სულ ორმაგი სტანდარტების დაჟინებით მოთხოვნა, როცა საკუთარ სეპარატისტებს კიცხავ და სხვებისას მხარს უჭერ? სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ისტორიულად ქართული ტერიტორიებია, ეს სადავო არ გახლავთ.

**— ეგებ გაიყინოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციები?**

— ვიქნებოდი კიდეც გაყინვის მოხარულნი, მაგრამ ისინი ხომ ჩვენ არ გაგვილღვია! რომ იტყვიან, ჩვენ როდი დაგვიწყია. სამხრეთ ოსეთში ბატონი კოკოითისა და მისი თანამოღვაწეების მთელი ლაპარაკი რუსეთისადმი მხურვალე სიყვარულზე, საერთოდ, მას მერე დაიწყო, რაც კონტრაბანდის იქაურ სიტუაციას სერიოზულად მოვკიდეთ ხელი. კონტრაბანდას კი ყველა ეწეოდა, მშვიდობისმყოფელთა ჩათვლით...

**— აფხაზეთის არჩევნების როგორი დასასრული წარმოგიდგებათ ოპტიმალურად?**

— აფხაზეთის პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატი არ შეიძლება პროქართულად დასახელდეს. ჩვენ იმ პოლიტიკოსებთან გვექნება მოლაპარაკებები, რომლებიც არიან, ვიმეორებ: მეთოდები, უწინარესად, იქნება ეკონომიკური. არანაირი კონფლიქტებით დაინტერესებული არა ვართ. ხალხი აფხაზეთში ახლა რეალურად შიმშილობს, მე ეს ვიცი.

**„სერიოზულად ჩვენი შედარება არ ეგების"**

**— ხელისუფლებაში თქვენ მოხვედით სიტუაციაში, რომელიც, საერთოდ, სადარია ხუთი წლის წინანდელი რუსეთის გარემოებებთან. პრეზიდენტ პუტინის მოქმედებებიდან რის გადაღებას ისურვებდით?**

— ჯერ ერთი, ქართული სიტუაცია გაცილებით უფრო კრიტიკული იყო, ვიდრე რუსეთული. სისტემის კრიზისი გაცილებით ღრმა და მძიმე გახლდათ. მეორეც, მომწონს პუტინის სწრაფვა ქვეყანაში წესრიგის დამყარებისკენ. ეგაა, რომ მეთოდები გვაქვს სხვადასხვა — ჩვენ, მაგალითად, ბიზნესმენები არ ჩაგვისვამს, გარდა შევარდნაძის სიძისა (ისიც მცირე ხნით). თუმცა ვფიქრობ, რომ თქვენი ბიზნესი უფრო კრიმინალური იყო და შესაძლოა, რომ რუსეთის პრეზიდენტს არც ჰქონდა სხვა გამოსავალი.

თებერვალში პუტინმა ჩემზე ერთობ კონტაქტური და კეთილმოსურნე კაცის შთაბეჭდილება მოახდინა. ოღონდ დსთის ქვეყნების კოლეგა-პრეზიდენტებმა მიმანიშნეს, რომ საკითხები მარტო პუტინთან არ უნდა გადავწყვიტო — საჭიროა, როგორც ამბობენ, ისინი რუსეთის ბიუროკრატის ყველა დონეზე „გაასრიალო", „გააძვრინო"... ამასთან, პუტინი თვითონ არის ორგანოებიდან გამოსული კაცი და მათი რეფორმირება უადვილდება. შეიძლება პუტინის რეფორმების შედეგად აპარატის წინააღმდეგობა შესუსტდეს.

საერთოდ, მომწონს, როცა ჩვენ გვადარებენ — ამას ხშირად აკეთებენ. ოღონდ მე ხომ მესმის, რომ სერიოზულად ჩვენი შედარება შეუძლებელია. საქართველოში წესრიგის დამყარება გაცილებით იოლია, პატარა ქვეყანაა. ჩვენ მაინც ერთი უზარმაზარი ოჯახი ვართ, შევთანხმდებით... რუსეთში, სამწუხაროდ, არ არის ერთიანი ოჯახის შეგრძნება.

თუმცა, რაკი სიტყვამ მოიტანა, ზოგიერთი ჩვენი საკადრო გადაწყვეტილება ერთმანეთს ემთხვევა. პრეზიდენტ პუტინთან განვიხილავდი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ბატონი ბენდუქიძის მოწვევის შესაძლებლობას. მან მითხრა, რომ თვითონაც აღიქვამდა ბენდუქიძეს ეკონომიკური ბლოკის ერთ-ერთ პოტენციურ მინისტრად. „შემიძლია მისთვის ამის მოყოლა-მეთქი?" — უკითხე. „რასაკვირველიაო".

აქვე სათქმელად, სწორედ რომ მიხარია, თუ როგორ უბრუნდებიან, ამჟამად, მთელი მსოფლიოს ქართველები ისტორიულ სამშობლოს. მაგალითად, ჩემთვის სასწაული გახდა ნინო ანანიაშვილის თანხმობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სათავეში ჩადგომაზე...

**„ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ველირსებოდი ელდარ რიაზანოვისთვის ხელის ჩამორთმევას"**

**— ზურაბ წერეთელს კი არ წაგვართმევთ?**

— ზურაბ კონსტანტინეს ძეს? ვიცნობ, ვაფასებ, ლითონის ვარდებს მიგზავნის, რაც განსაკუთრებით მსიამოვნებს — პატარებს. პატარა უკეთ გამოსდის... ჰოდა, თუ ძალიან კარგად გადაგვიხდით — მოვუხმობთ, რასაკვირველია.

**— პირადად თქვენში რა შეიცვალა ამ ერთ წელიწადს?**

— მინდა ვიფიქრო, რომ ადამიანურად არაფერი.

არ დამიწყია ჩემი თავის მიჩნევა განსაკუთრებულად... ვართ თანამოაზრეთა გუნდი. ბევრ დროს ვატარებთ ერთად — არა მხოლოდ სამუშაოს, არამედ თავისუფალსაც, ასე რომ, გუნდურ კაცად დავრჩი... აი, ჩემ თავს კი აღარ ვეკუთვნი. დაცვასთან გამუდმებული შეხლა-შემოხლა მაქვს. უკვე ქუჩაში ისე, უბრალოდ გამოსვლაც კი აღარ შემიძლია...

**— როგორ წარიმართება თქვენი ურთიერთობები პრესასთან? ხომ არ გიპყრობთ ოპოზიციური არხის დახურვის ცდუნება?**

— პატარა საქართველოში ძალიან დიდი რაოდენობითაა დამოუკიდებელი არხები. თანაც დახურვას აზრი არა აქვს — ქვეყანაში უმალვე ყველაზე ყველაფერი ხდება ცნობილი ყოველგვარი ტელევიზიის გარეშეც. ოპოზიციას რაც შეეხება... დღეს ისეთი ოპოზიცია გვყავს, რომ მის ფონზე ძალიან მომგებიანად გამოვიყურებით. ასე რომ, დაინტერესებულიც ვართ, ის რაც შეიძლება ხშირად აჩვენონ.

**— რა მოგეწონათ რუსეთში ვიზიტის დროს უკვე პრეზიდენტის სტატუსში ყველაზე მეტად?**

— ელდარ რიაზანოვი გამაცნეს. ვერასოდეს ვფიქრებდი, რომ ველირსებოდი მისთვის ხელის ჩამორთმევას...

**დიმიტრი ბიკოვი.**
**„სობესედნიკი", 13-19 ოქტომბერი, №38.**

უპრეცედენტო ფაქტი

# ბათუმელი ძალოვნები თბილისელ მოხელეებს აპატიმრებენ

**შინაგან საქმეთა აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი პაპუაშვილმა, შაბათს, ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე სენსაციური ინფორმაცია გააჟღერა, — დაპატიმრებული არიან და თბილისიდან ბათუმში ხდება ხეტყის უკანონო ბიზნესში მხილებული მაღალჩინოსნების ეტაპირებაო და ეჭვმიტანილების თანამდებობა და ვინაობაც დაასახელა. ესენი არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო, საქვეუწყებო დაწესებულება „სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის" თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ბურდული და ამავე დეპარტამენტის ტყის აღრიცხვისა და ტყის სარგებლობის სამმართველოს უფროსი ნუგზარ ბულია. ისინი ეჭვმიტანილები არიან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.**

როგორც გიორგი პაპუაშვილმა განმარტა, ამ დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირები ხელს უწყობდნენ ხეტყის საზღვარგარეთ გასატანი ყალბი ლიცენზიების გაცემასა და ამ გზით ქვეყნიდან უცხოეთში დიდი რაოდენობის ხეტყის გადინებას, რითაც ბიუჯეტი ზარალს განიცდიდა. ამასთან, დაკავებულებს ედავებიან არასრულად გაფორმებული და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხეტყის მოჭრასა და გატანას. ბრიფინგზე გაჟღერდა სავარაუდო თანხა, რომელსაც დაკავებულებს ძიების ამ ეტაპზე ედავებიან — მილიონზე მეტი ლარი. თუმცა გიორგი პაპუაშვილმა ისიც დაამატა, ამ ციფრის გაზრდაა მოსალოდნელიო.

უპრეცედენტო ფაქტია, როცა ბათუმელი ძალოვნები თბილისში იქაურ მაღალჩინოსნებს აკავებენ და ბათუმში ჩამოჰყავთ საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. გიორგი პაპუაშვილმა გასაგებად მიანიშნა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებების სერია კვლავაც გაგრძელდება. თუ საჭირო იქნება, ეჭვმიტანილებს ნიუ-იორკშიც რომ იყვნენ, იქაც დავაპატიმრებთო, — განაცხადა მან და ამით მიანიშნა, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას და ხეტყის უკანონო ბიზნესში ჩართული ყველა პიროვნების ციხეში ჩასმას აპირებს, ოღონდ... თუ დააცალეს.

პაპუაშვილის ეს განცხადებაც არ იყო შემთხვევითი. როგორც ჩანს, აჭარის სამმართველოს უფროსზე დაიწყო ზეწოლა. ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, გაურკვეველი დარჩა, ვის გულისხმობდა გიორგი პაპუაშვილი ხელის შემშლელებში — მარტო აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებს, თუ თბილისელ მაღალჩინოსნებს, რომლებიც ამ უკანონო ბიზნესთან არიან დაკავშირებული. როგორც ჩანს, პაპუაშვილის უწყებას ჯერ კიდევ ბევრი გაუხმაურებელი ინფორმაცია აქვს ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აჭარასა და სარფის საბაჟოდან ხეტყის უკანონო გატანის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებში მიმდინარე სამართალდარღვევებს შეეხება.

**რა მოხდება ამის შემდეგ? ხულოსა და შუახევის რაიონების დაპატიმრებული გამგებლების თავდებში გამოშვებას კვლავაც ითხოვს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ნაწილი. ამის პასუხად კი ამ დღეებში აჭარის მაღალმთიან რაიონებში სატყეო მეურნეობების არაერთი ხელმძღვანელი დააპატიმრეს. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ეს ჯაჭვი აჭარის გარეთაც გაგრძელდება და საქართველოს იმ რეგიონებსაც შეეხება, სადაც ხეტყე იჭრება და საზღვარგარეთ გადის.**

**ამირან კილურაძე,**
**„სრ". საკ. კორ.**

## ⊙ თავები ახალი წიგნიდან

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

27 ივლისის — ებრაული კალენდრით 9 აბის — საღამოს ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი ისრაელში. ებრაელთათვის ეს არის წლის ყველაზე მძიმე დღე — ამ დღეს — 9 აბს დაანგრია ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი, ოთხასი წლის შემდეგ, ამ დღეს რომაელებმა დაცალეწეს იერუსალიმი, ესპანელებმა ამ დღეს — 1495 წლის 9 აბს განდევნეს ებრაელები.

ბევრი სხვა ტრაგიკული ამბავი გადახდათ თავს ამ დღეს ებრაელებს. მეხსიერების ერს ეს ყველაფერი კარგად ახსოვს. ამიტომ წელს 27 ივლისი მარხვის, გლოვის დღე იყო — ხალხი გლოვობდა, დღევანდელივით განიცდიდა გარდასული საუკუნეების მარცხს.

საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტის დღეებში მარცხის — 9 აბის ტრაგიზმის შეგრძნება თან მდევდა — მიხეილ სააკაშვილი დრო და დრო ახსენებდა საქართველოს მარცხს, ქართველი ხალხის მწარე ტკივილს, სამშობლოსგან მოკვეთილ ნაწილს — აფხაზეთს, სამაჩაბლოს. მე კი ამ ტკივილის მძაფრი შეგრძნება იმედით მავსებდა: ტკივილის გაყუჩება ხომ ტკივილთან შეგუებას ნიშნავს. ტკივილთან შეუგუებლობა, ტკივილის მწარე განცდა არის ერთ-ერთი საწინდარი მისი მოსპობისა. გამუდმებით უნდა გაწუხებდეს, უნდა გტკიოდეს. ებრაელები, მაგალითად, ყველაზე სასიხარულო წუთებში — ქორწინების აქტის გაფორმებისას, ყველაზე დიდ სიმწარეს — სამშობლოს დაკარგვას იგონებდნენ: „თუ დაგივიწყო, იერუსალიმ, დამიწდეს მარჯვენა ჩემი, ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას“.

მიხეილ სააკაშვილის ლამის ყოველი გამოსვლა ასე ჩამესმოდა: „თუ დაგივიწყო, აფხაზეთო, დამიწდეს მარჯვენა ჩემი, ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას, თუ არ მახსოვდე, სამაჩაბლოვ!“

კარგია, ძალიან კარგია, რომ ტკივა, რომ აწუხებს. ასე მეჩვენება, ხალხს ეს ტკივილი, მარცხის ეს მწვავე განცდა, მოუშუშებს ჭრილობას.

საქართველოს პრეზიდენტი გოდების კედელთან რომ მივიდა, მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო. დასავლეთის კედლის წინა მოედანს ჩამავალი მზე აბრწყინებდა, მოედანზე ნიავიც ქროდა.

საქართველოს პრეზიდენტმა დაღლილ, მცხუნვარე მზით გამოხრულ, მაგრამ მაინც მყარი გოდების კედლის ქვებზე ხელის დადებით საუკუნეებს შეავლო ხელი და მე მაგონდება ლეგენდა დასავლეთის კედლის გადარჩენისა: როცა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმს ცეცხლი წაუკიდა და ღმერთმა ცეცხლის ალში გახვეული უფლის ტაძარი დაინახა, ერთი კურცხალი ცრემლი გადმოვარდაო. იმ ცრემლმა ჩააქრო ცეცხლი. ასე გადარჩა ერთი — დასავლეთის — გოდების კედელი.

მერე მუსლიმები მოვიდნენ და ამ კედელს ომერის მეჩეთი წამოამხეს თავზე. დღეს იუდეველთა დღესასწაულებისას, როცა აქ მრავალი ებრაელი იყრის თავს, მუსლიმები მლოცველთ ქვებს უშენენ.

ამ ორ ფაქტშია მოქცეული ებრაელთა ტრაგედია — თანამედროვეც და ისტორიულიც: „შენ აქ რად მოხვედი, აქ ჩემი სალოცავი დგასო“. იმათ რომ თავიანთი სალოცავი ებრაელების უკვე მეორედ აშენებულ ტაძრის ნანგრევს წამოამხეს თავს, ეს ვითომ არაფერი.

აქედან გზა ჯვრის მონასტრისაკენ მიდის. იქ საქართველოს დიდებისა და დაცემის, იავარქმნის ისტორია ელოდება საქართველოს პრეზიდენტს.

პრეზიდენტის წინაშე თითქოს ისტორიის ფურცლები იშლება. ეს ფურცლები უამბობენ იმაზე, თუ რას იქმოდნენ ქართველნი, როგორ ირჯებოდნენ ადრეულ საუკუნეებში — დიდებულ იერუსალიმში სალოცავები ჰქონდათ, ეს იმას ნიშნავს, გონივრულად და ყოჩაღად ირჯებოდნენ, მაგრამ...

პარაკლისი მთავრდება, მონასტრის მოხილვაც და...

სიძველეთადმი ზედაპირული დამოკიდებულებით გულნატკენი პრეზიდენტი პირველი ტოვებს ჯვრის მონასტერს. მისი გულისტკენა საქართველოს ისტორიის, სიძველეთა მოყვარული, დამფასებელი კაცის გულისტკენაა — ვიღაცას სახელდახელოდ „აღუდგენია“ შოთა რუსთაველის ფრესკა. გადაუთხუპნია. საქართველოს პრეზიდენტს „პატივი დასდეს“ — გადაფხეკილი ფრესკა არ დაახვედრეს.

საქართველოს პრეზიდენტი გავიდა. მისი თანმხლებნიც ნელ-ნელა ვტოვებთ მონასტერს. არადა, უნდა ვიჩქაროთ — სადაცაა შოთა რუსთაველის ქუჩა-ხეივანი გაიხსნება. უცებ ყვირილი იქცევს ყურადღებას. ვიღაცა ცოფებს ყრის, რატომ ჩქარა არ გადიხართ ქართველები, რას შემოგვიჩნდით, რა გესაქმებათ ამ მონასტერშიო. ვიკითხე, ვინ არის-მეთქი, ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოდან არისო.

აჰა, გენიალური პოეტის ქუჩა-ხეივნის გახსნის ცერემონიალი დაიწყო, სიტყვას ამბობს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. როგორც კი მიხეილ სააკაშვილმა გამოსვლა დაიწყო, ენერგიით აღსავსე კაცის გამოსვლა — უმალ მივხვდი საპატრიარქოს წარმომადგენლის გახელების მიზეზს. აჰა, რასაკვირველია, ყველაფრის თავი და თავი დაუოკებელი მიხეილ სააკაშვილია.

და აი რა:

სულ რაღაც ორიოდე საათის წინათ — ხუთის ნახევარზე — საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა იერუსალიმის წმინდა ქალაქისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს, მის უწმინდესობას — ირინეოსს.



ამ დღემდე, 28 ივლისამდე 2004 წლისა, ჩვენ ვსაუბრობდით ჯვრის მონასტრის ქართველობისადმი კუთვნილების თაობაზე. ვლაპარაკობდით ჩვენს შორის, ერთმანეთში. მოვიდა ადამიანი — საქართველოს სიუზერენი და იერუსალიმში, წმინდა მიწაზე ბერძნული საპატრიარქოს პირველ პირს დაუსვა საკითხი იმის თაობაზე, რომ ჯვრის მონასტერში ქართველი ბერებიც უნდა სწირავდნენო. ქვეტექსტი: ვანდალიზმის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არ არის, რომ სახლის პატრონი შინ არ არისო, აი, როცა სახლის პატრონი შინ იქნება, საკითხიც სხვაგვარად დადგებაო.

რა მოხდა? თითქოს არაფერი, მაგრამ მე რომ კაცმა მკითხოს, მოხდა დიდი ამბავი — თავისი სახელი დაერქვა ყველაფერს. კათალიკოსის დონეზე გაცხადდა ის, რასაც შინაურთა შორის ვლაპარაკობდით და ყველაფერ ამას მიხვდა ის კაცი — საპატრიარქოს წარმომადგენელი. საქართველოს პრეზიდენტმა სწორად განჭვრიტა: თუ ის მყისიერად მონასტრის დაბრუნების საკითხს დასვამდა, ერთი თავაზიანი, დიპლომატიური მოიარებით ნათქვამი ზოგადი ფრაზა კვლავ გაყინავდა ამ საკითხს. არა, მან ქართველი ბერების ჯვრის მონასტერში წირვის საკითხი დასვა.

ჩემი ის ეკლესიაა, რომელშიც ვლოცულობ.

ეს იყო ისტორიული, ერთობ ღირსსახსოვარი მომენტი: საქართველოს პრეზიდენტი ქართული აზრის, სიტყვის, ქართული გენიის მეუფესთან — შოთა რუსთაველის საფლავთან მივიდა.

იხ. მე-5 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 247.

## ⊙ ერთი კარგი წელიწადი

# როცა ერი ერობს, მტერი ვერა მტერობს

(მეორე გვერდიდან)



**— ვთქვათ, არაფერი მომხდარიყო და მაშინდელ პარლამენტს განეგრძო მუშაობა, როგორ წარიმართებოდა მოვლენები?**

— მაშინ უკვე ჩვენი მეგობარი ქვეყნები, მათ შორის ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში ვიარსებეთ, გამოაცხადებდნენ, რომ საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო არ არის მათთვის ლეგიტიმური და შეწყვეტდნენ ურთიერთობას.

მაგრამ მოხდა ისე, და ეს პირველი შემთხვევაა დსთ-ს სივრცეში, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება მთლიანად არ შეეგუა ამას და განხორციელდა სრულად უსისხლო „ვარდების რევოლუცია“, რაც, როგორც ტერმინი, მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა.

**— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიცვალა უცხოელთა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. თქვენი აზრით, რაში გამოიხატება ეს?**

— ეს მოხდა მყისიერად. მე განგებ შევარჩიე საგარეო ასპექტი. იმიტომ, რომ აქ უკვე ყველაფერი დოკუმენტურად ცხადია. რაც შეეხება ხალხის განწყობას, ეს ნამდვილად ასე იყო. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რაც მოხდა აჭარაში. წლების განმავლობაში ერთი მუჭა კლანი მართავდა ამ ღირსშესანიშნავ მხარეს, სადაც მართლაც ღირსეული ადამიანები ცხოვრობენ — უაღრესად კანონმორჩილნი, უაღრესად მშრომელნი, სანიმუშო ქართველები. აჭარა კი ამ დროს ერთი მუჭა ადამიანების ხელში ხდებოდა საერთაშორისო მაფიის ერთგვარი ნაკრძალი — ვინ იცის, რა საქმიანობისთვის. ინფორმაცია ამაზე მოგვდიოდა. და, აი, უკვე საქართველოში მომხდარის ფონზე აჭარის მოსახლეობა დადგა ფეხზე, მთელმა ერმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მათ და ძალზე არსებითია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამაც უკან არ დაიხია. ის ძალადობის, სისხლისღვრის გარეშე დაეხმარა იმ ხალხს, ვინც გაიბრძოლა თავისი ძირითადი, ადამიანური უფლებების დასაცავად და ესეც არის ძალზე არსებითი.

**— როგორ შეაფასებთ დღევანდელ სიტუაციას ყოველივე მომხდარის შემდეგ?**

— მოხდა, არც მეტი, არც ნაკლები — ისტორიული გარღვევა. სახელმწიფოს დაუბრუნდა შელახული საერთაშორისო ავტორიტეტი. აჭარა დაბრუნდა საქართველოს კონსტიტუციის სივრცეში და იქაური მოსახლეობა გათავისუფლდა მაფიის მარწუხებისგან. რაც მთავარია, ერში გაჩნდა ერთიანობის, ერთად დგომის მძლავრი მუხტი... ხოლო როცა ერი ერობს, მტერი ვერა მტერობს!

**— თქვენ მთავრობის კანცელარიის უფროსი ბრძანდებით. რას იტყოდით თქვენი თანამდებობის გადასახედიდან?**

— მინდა ვთქვა: როგორც იქნა, შეიცვალა კონსტიტუცია, რომ საქართველოში დამკვიდრდა და დაწესდა მისი ძირითადი კანონები, ნორმალური მართვის სისტემა — მინისტრთა კაბინეტის სისტემა, ამან თვისობრივად შეცვალა მართვის სტილი და პოლიტიკის განხორციელება საქართველოში.

ვიცი, რომ ახლა ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი თავისი საქმით არის დაკავებული და შეიძლება, პოლიტიკური ცვლილებები ნაკლებად იცოდეს ან აინტერესებდეს, მაგრამ მაინც საჭიროა იცოდეს, რომ საქართველოს მთავრობა, თითოეული მინისტრი ერთად აღებული, წარმოადგენს ერთ მთლიან გუნდს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თავისი კოლექტიური პასუხისმგებლობით და გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების კოლექტიური მექანიზმით.

ის, რაც იყო, მორჩა, გათავდა. ნორმალური მართვის გადასახედიდან ეს იყო მარაზმი, როცა, მაგალითად, მიღებული იყო ხოლმე ბიუჯეტის პროექტი, გაიგზავნებოდა პარლამენტში პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი და მერე ცალ-ცალკე დარბოდნენ მინისტრები, მათ შორის, ძალოვანი მინისტრებიც, რომ ასეთი სახის პროექტს არ ეთანხმებოდნენ. ახლა კი თუ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და პრემიერმა მთავრობის სახელით დადგენილებას ხელი მოაწერა, მორჩა და გათავდა! ამ გადაწყვეტილების მიღების დროს როგორი ცხარე კამათიც არ უნდა იყოს მინისტრებს შორის, დახურული სხდომიდან ისინი მაინც ერთსულოვანნი გამოდიან. ასეა ყველა ქვეყანაში.

ეს ახალი ფორმაციის უდიდეს წარმატებად მიმაჩნია. გარდა ამისა, მოწმე ვარ იმისაც, როგორ ემზადებოდა მთელი მთავრობა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი ბრიუსელის დონორთა კონფერენციისთვის და თუ როგორი წარმატებით დაგვირგვინდა ეს, ყველასთვის ნათელია.

ერთი ფრაზით ვიტყოდი, რომ დიდი განსხვავება გაჩნდა მართვის სტილში ძველსა და ახალ მთავრობებს შორის. გაიხსენეთ ტელედებატები მინისტრებს შორის. ისინი ერთმანეთს აკრიტიკებდნენ, ხელჩართულ ბრძოლამდეც კი მიდიოდნენ... მთავრობის შიგნით დაპირისპირებებმა დაანგრია ძველი სისტემა...

დღეს კი ისე ხორციელდება ყველაფერი, როგორც ეს კონსტიტუციით არის გათვალისწინებული.

**— როგორ ხედავთ სამომავლოდ ქვეყანას?**

— ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. რეფორმებმა ახალი იმპულსი აშკარად მიიღო. რაც შეეხება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე უფრო ინტენსიურ გადასვლას, საგადასახადო კოდექსს — ეს უკვე გარღვევაა! ამდენი წელიწადი ამაზე საუბარი იყო და არაფერი კეთდებოდა. ახლა კეთდება. პრივატიზაცია შეგვიჩერდა ნახევარ გზაზე, რაც ძალიან ცუდია, ნამდვილი კაპიტალიზაცია ამიტომ არ ხდება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ჯერ არა ვართ დემოკრატიული კაპიტალიზმის ქვეყანა. ჯერ ბევრია ამისთვის გასაკეთებელი... უაღრესად არსებითი რამაა ფინანსური ამნისტია ბიზნესმენებისთვის. ჩვენს ქვეყანაში ბევრ ადამიანს ჯერ ისევ აქვს საბჭოური მენტალიტეტი. სამუშაო ადგილებს ბიზნესმენები ქმნიან, ის უნარიანი ადამიანები, ვისაც რისკის გაწევა შეუძლიათ. თუ ამათ არ მიეცემათ საშუალება, არაფერი გამოვა. პრივატიზაცია საბოლოო ჯამში ძალიან კარგია.

**— კვლავ დაძაბულია ურთიერთობა მეზობელ რუსეთთან. როგორ ფიქრობთ, შეძლებს კი ჩვენი ხელისუფლება მასთან მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას?**

— ჩვენ მეზობელი ვართ ვეებერთელა, გოლიათი ქვეყნის, რომელიც ობიექტური თუ ისტორიული მიზეზების გამო ამჟამად თავისი განვითარების ურთულეს ეტაპზე იმყოფება... ჩვენმა ხელისუფლებამ შეძლო პროვოკაციის შეჩერება ცხინვალის რეგიონში. ჩვენს ხელისუფლებას იმის უნარიც შესწევს, რომ თავის დიდ მეგობრებთან ერთად განახორციელოს ფილიგრანული პოლიტიკა და ურთულესი პრობლემების მიუხედავად, კარგი ურთიერთობები ააწყოს რუსეთთან. მწამს, რომ გავიმარჯვებთ და სამშვიდობოს გავალთ.

**— დაბოლოს, ბატონო პეტრე, როგორც ვიცი, თქვენთან ძველი კადრებიც დარჩნენ. როგორ შეეწყვნენ ისინი ახალ მთავრობას?**

— სრულიად უპრობლემოდ. მეტსაც გეტყვით, ამჟამად ერთ შენობაში ვართ განთავსებული პრეზიდენტის ადმინისტრაცია, უშიშროების აპარატი, როგორც ადრე იყო, და მთავრობის კანცელარია. ჯერ ერთი, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ათობით სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი თავისთან წაიყვანა, მაღალ თანამდებობებზეც დანიშნეს. მე დავრწმუნდი იმაში, რომ სრულ, ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ ყველა ადამიანზე.

ისიც არსებითია, რომ თუკი გადავხედავთ ახალ ხელისუფლებას და ახალ ლიდერებს, ესენი არიან სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები, ვინც ურთულეს წლებში ყალიბდებოდნენ. მათ იციან, რა არის სახელმწიფო მართვა და რა არის პოლიტიკა. ეს კი არსებითია.

არის ძალზე ჰარმონიული შეთავსება როგორც გამოცდილი, ასევე მთავრობაში ახლადმოსული ადამიანებისა და არ არის გაწყვეტილი ის ჯაჭვი, რომ უფრო გამოცდილებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ უმცროსებს. და ეს უნდა გაგრძელდეს, იმიტომ, რომ სახელმწიფო სამსახურის უპირველესი პრინციპი უწყვეტობაა...

ესაუბრა
ლია ჭილაძე.

## ⊙ ტრადიცია გრძელდება

# ესენი ქვეყანას აშენებდნენ და დღესაც აშენებენ



სურამის საუღელტეხილო უბანი.

ეს მოხდა ამ 75 წლის წინათ. სსრკ გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის 1929 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით შეიქმნა რვა ახალი სამშენებლო სამმართველო, რომელთა შორის იყო „ამიერკავკასტრანსმშენი“. თავდაპირველად მას შავი ზღვის და ტყვარჩელის რკინიგზის მონაკვეთების მშენებლობა დაევალა.

პირველი მსხვილი ობიექტი, რომელიც ახლადშექმნილი ორგანიზაციის კოლექტივმა წარმატებით ააშენა, იყო შავი ზღვის რკინიგზის ხაზი სადგურ ცხაკაიადან ადლერამდე ოჩამჩირის, სოხუმის და გაგრის გავლით. გზის საერთო სიგრძე 246 კმ შეადგენდა.

მოგვიანებით, აღნიშნული ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის სამმართველო და აღმოსავლეთ საქართველოს სამშენებლო სამმართველო, რომელთაც მოკლე პერიოდში მოიზიდეს და მაღალკვალიფიციურ მძლავრ სამშენებლო კოლექტივებად ჩამოაყალიბეს სპეციალისტთა ცალკეული სახელოვანი ჯგუფები, რომელთაც წილად ხვდათ სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების საპატიო საქმის შესრულება არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რკინიგზის მშენებელთა წვლილი ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში, როცა მუშაობა წარმოებდა ჯერ კიდევ შეუმშრალი ნახაზებით, რთულ რელიეფურ და გეოლოგიურ პირობებში.

1955 წელს ზემოაღნიშნული სამმართველოები გაერთიანდნენ სარკინიგზო მშენებლობის ტრესტ „ამიერკავკასტრანსმშენში“, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე 9 სამშენებლო ქვედანაყოფი დაექვემდებარა.

ამ პერიოდიდან კიდევ უფრო ფართო ასპარეზი მიეცა საქართველოს რკინიგზის მშენებლებს. [illegible]

თასის-ტყიბულის საბადოებამდე. ამას მოჰყვა ბორჯომი-ახალციხე-ვალეს 60-კილომეტრიანი და ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერის 49-კილომეტრიანი რკინიგზის ხაზების მშენებლობა, რომლებიც ასევე ურთულეს რელიეფსა და გეოლოგიურ პირობებში გადიოდნენ.

„ამიერკავკასტრანსმშენის“ ძალებით აშენდა და საექსპლოატაციოდ ჩაბარდა რაზდან-სევანის 24 კმ-იანი რკინიგზა სომხეთში.

1980-1986 წლებში ტრესტმა განახორციელა საქართველოს სამხრეთი რაიონების ეკონომიკური განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი მარაბდა-ახალქალაქის 160-კილომეტრიანი რკინიგზის ხაზის მშენებლობა. აღნიშნული ტრასაც ურთულეს რელიეფზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე გადიოდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველად ამიერკავკასიის სარკინიგზო ქსელები გადავიდა სრულ ელექტროწევაზე. ესეც „ამიერკავკასტრანსმშენის“ კოლექტივის აქტივში ჩაიწერა.

დროთა განმავლობაში ტრესტი თავის საწარმოო ბაზებითა და ტექნიკური შეიარაღებით ერთ-ერთი უძლიერეს სამშენებლო ორგანიზაციად იქცა ქვეყანაში. მის ნამოღვაწარში, გარდა სარკინიგზო ობიექტებისა, მრავლად შეხვდებით საცხოვრებელი, ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ურთულეს ხელოვნურ საინჟინრო ნაგებობებზე, რომელთა აგება თან სდევდა რკინიგზის ქსელების მშენებლობას (რკინიგზის ვაგზლები დედაქალაქში, სოხუმსა და გაგრაში, აეროვაგზალი თბილისში, საზღვაო ვაგზალი ფოთში, დასასვენებელი სახლი „სკალა“ გაგრაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა თბილისში, სკოლები, საბავშვო ბაღები და მრავალი სხვა).

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საელმავლო დეპოების, უნიკალური სარკინიგზო ვაგზლების, საცხოვრებელი სახლების და სხვათა მშენებლობანი. მათ შორისაა თბილისის ელმავალმშენებელი და ვაგონშემკეთებელი ქარხნები.

ტრესტის კოლექტივმა არანაკლებ [illegible] რკინიგზო მომსახურების მრავალი ნაგებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების პერიოდში. აქვე აღდგენილ იქნა მრავალი საცხოვრებელი სახლი, სკოლა და სხვა ნაგებობები.

ახალმა დროებამ, მიმდინარე ეკონომიკურმა ურთიერთობებმა არც მშენებლობა დატოვა გარდაქმნების გარეშე. გუშინდელი ტრესტი დღეს სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის“ სახელს ატარებს. ცნობილი მოვლენების პერიოდში საზოგადოების ხელმძღვანელობის, მისი კოლექტივის მონდომებისა და სიფხიზლის წყალობით განადგურებას გადაურჩა ტრესტის საწარმოები, მანქანა-მექანიზმები.

შენარჩუნებულია მაღალკვალიფიციური კოლექტივის ძირითადი ბირთვი. სწორედ მისი ძალებით აშენდა რკინიგზის ვაგზლები საჩხერესა და ურეკში, წმინდა სამების ტაძარი და „ლოკომოტივის“ სტადიონი თბილისში, მეორე სარკინიგზო ხაზის მონაკვეთები ზესტაფონი-ძირულას, მარელისისა და ლაშე-ხარაგაულის გადასარბენებზე, ასევე სამტრედია-ბათუმის ხაზზე.

სს „ტრანსმშენი“ ამჟამად, როგორც გენერალური მოიჯარადე, „ტრასეკას“ კომპლექსის ჩარჩოებში ასრულებს საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის რეალიზაციისა და მოდერნიზაციის სამუშაოებს. შენდება ბათუმის რკინიგზის ვაგზალი.

დღეს პატივისცემით მოიხსენიებენ სამშენებლო ორგანიზაციის აწ გარდაცვლილ ხელმძღვანელებს ალექსანდრე ცატუროვს, ჯულა სიხარულიძეს, ამირან საგანელიძეს, ლევან მეგრელიშვილს.

მათი შრომისა და ცხოვრების მაგალითზე აღიზარდნენ მომდევნო თაობები. დღეს სს „ტრანსმშენის“ გენერალური დირექტორის თამაზ კოტიშაძის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თეიმურაზ მეგრელიშვილისა და სამუშაოთა ტრადიციული გენერალური დამკვეთის „საქართველოს რკინიგზის“ ურთიერთობა ქვეყნის განახლებული ეკონომიკის ფონზე სამშენებლო ორგანიზაციის ჯანსაღი საქმიანობის გარანტია.

პატივი გვაქვს, შევუერთდეთ ამ სამშენებლო ორგანიზაციის ზეიმს, მივულოცოთ სახელოვანი იუბილე, ვუსურ- [illegible]

რევაზ ტყემალაძე,
საქართველოს მშენებელთა
ფედერაციის ადმინისტრაციის
მოადგილე



რკინიგზის ვაგზლის მშენებლობა ბათუმში.



ურეკი.

## ⊙ ინფორმაცია

### წელს ბევრად უკეთესი ზამთარი იქნება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, ნიკა გილაურის პროგნოზით, გასულ წლებთან შედარებით, ენერგეტიკული თვალსაზრისით, წელს ბევრად უკეთესი ზამთარი იქნება.

გილაური გუშინ პარლამენტში, ენერგეტიკის დარგში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის წინაშე წარსდგა ანგარიშით.

მისი თქმით, ბოლო ექვსი თვეა, ენერგოსისტემაში „ვარდნის პროცესი შეჩერდა“. ჰესებში გაჩერებული აგრეგატების რეაბილიტაცია, აღდგენითი სამუშაოები და გამრიცხველიანების პროცესი მიმდინარეობს. — ყოველივე ეს იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ წელს ბევრად უკეთესი ზამთარი იქნება, ვიდრე გასულ წლებში. გენერაციის შიდა გამომუშავება გაცილებით გაიზრდება, რაც ელექტროენერგიის იმპორტზე თანხებს დანახარჯს შეამცირებს, — განაცხადა გილაურმა.

მისი თქმით, „პრობლემები არსებობს, მაგრამ ეს რამდენიმე კვირის წინათ მომხდარ დივერსიას უკავშირდება, რაც სამ დღეში გამოსწორდება“.

დეპუტატები ენერგეტიკის მინისტრის ოპტიმიზმს არ იზიარებენ.

### მცირე მეწარმეები ითხოვენ

მცირე მეწარმეები ხელისუფლებას ახალ საგადასახადო კოდექსში მათი ინტერესების გათვალისწინებას სთხოვენ.

გუშინ კინოს სახლში ბრიტანული ორგანიზაცია „ოქსფამის“ ორგანიზებით მცირე მეწარმეთა ფორუმი გაიმართა. როგორც შეხვედრაზე მეწარმეებმა განაცხადეს, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, მაშინ საქართველოში მცირე მეწარმეობა აღარ იქნება. — ქვეყანას კი, რომელსაც არ ექნება მცირე მეწარმეობა, მომავალი არ აქვს, — აცხადებენ მეწარმეები.



თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტის, ანზორ საკანდელიძის განცხადებით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო კოდექსის პროექტის მიღება „ქვეყნის ღალატი“ იქნება. — ძველი კოდექსი მცირე მეწარმეების ინტერესებს გაცილებით მნიშვნელოვნად ითვალისწინებდა და ისინი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებული იყვნენ, რაც ახალ დოკუმენტში აღარ არის გათვალისწინებული, — აღნიშნა საკანდელიძემ.

თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი ქვეყნის ხელისუფლებას მცირე მეწარმეებთან დიალოგისკენ მოუწოდებს.

### „ლეიბორისტები“ საგაფიცვო კომიტეტებს ქმნიან



„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ხელისუფლებას 24 ოქტომბერს ჩატარებული პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნების ტოტალურ გაყალბებაში ადანაშაულებს და დღეიდან საგაფიცვო კომიტეტების შექმნას იწყებს, რომლებიც ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით მთელი საქართველოს მასშტაბით საპროტესტო აქციების ორგანიზებას უზრუნველყოფენ.

როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, გუშინწინდელ არჩევნებში დიდუბისა და კრწანისის საარჩევნო ოლქებში „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატებმა — პაატა ჯიბლაძემ და სოსო შატბერაშვილმა გაიმარჯვეს, თუმცა ხელისუფლებამ „კარუსელებისა“ და სიებში „მკვდარი სულების“ შეყვანით, მათი ხმები გააყალბა.

### ჯილეხის ახალი შემთხვევა

გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში ჯილეხის ახალი შემთხვევა აღინიშნა. ჯილეხით დაავადებული 42 წლის მამაკაცი ამჟამად მკურნალობის კურსს რუსთავის ინფექციურ საავადმყოფოში გადის.

როგორც ინტერ-პრესს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, პაციენტს დაავადება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების შედეგად განუვითარდა.

საქართველოში წელს ჯილეხის 39 შემთხვევა აღინიშნა.

ინტერ-პრესი.

დაფასება

# თბილისელი იმერული აქცენტით

**ხომ ყველანი ძვირფასები არიან, ვანიკო მაჭავარიანი მაინც განსაკუთრებულია იმ ექვს კაცს შორის, წელს რომ საპატიო თბილისელებად აღიარეს.**



ვანიკო სხვა კაცია – ნამეტანი გულქართლია, ნამეტანი თბილისელი, ნამეტანი იმერელი: ხარაგაულელი – ლაშელი... საპატიო თბილისელის წოდების მინიჭება რომ გაიგო, პირველად ეს თქვა სინანულით, ლაშეში დენი არ იქნება და ჩემი მეზობელი ჯონდო რევაზიშვილი ვერ მოისმენს ამ ინფორმაციასო...

სამაგიეროდ, აგერ, გაზეთი, ჩვენო ვანიკო, ხომ ვარიანტი არ არსებობს, ამ შაბათ-კვირას, ჩვეულებრივად, იმერეთისკენ არ გაუტიო, ლაშეში არ ჩახვიდე – მამა-პაპეულს არ დახედო, კუთხე-მეზობელს არ შეეხმიანო და, აჩვენე, შე კაცო, მათ „საქართველოს რესპუბლიკა“, უკეთესი დოკუმენტი რა გინდა...

არადა, ვანიკო მაჭავარიანი თბილისშია დაბადებული და გაზრდილი, ბაბუაჩემიც კი, რომელსაც მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზები და ხიდები (განსაკუთრებით სამხედრო გზა) აუშენებია, უდროობის გამო, იშვიათად ჩადიოდა ლაშეშიო, სამაგიეროდ, ბავშვობაში, მთელ ზაფხულს მე იქ ვატარებდიო, ჩვენი აგარაკი მაშინ სოფელი იყო, რა დამავიწყებს ჩხერიმელაში ბანაობას და ჭალაში ცხენებით ნავარდსო... საოცარი სილაღით ჰყვება ვანიკო, ათას რამეს იგონებს, თან ზემოიმერულ აქცენტს ურევს ლაპარაკში.

მაინც, როგორ გამოგყვა ეგ აქცენტი-მეთქი.

მე კი არა, როგორც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუწყება, ვასო აბაშიძეს – ავეტიკას გენიალურ შემსრულებელს, და მაკო საფაროვას მეუღლეს, ცხოვრებაში იმერული აქცენტი ჰქონიაო, – იცინის ვანიკო.

ახლა ჩამოვიდეთ თბილისში...

თბილისში დაიბადა-მეთქი.

თბილისმა დაავაჟკაცა...

თბილისმა აქცია თავისი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებად, „გეპეის“ მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის სტუდენტი და ჯიშით სხეულში ქართული სიმღერის სიყვარულჩაბუდებული (მუსიკაზე ორჯერ შეუყვანიათ, ორჯერვე თავი მიუნებებია, სირისტიანს ეძახდნენ, ვინც მუსიკაზე დადიოდაო), მაინც გამოდის ოლიმპიადებზე, მაინც მღერის „გეპეის“ ჯაზში, მერე ჯანსუღ კახიძე ქმნის ანსამბლ „შვიდკაცას“, თავისთან იხმობს ვანიკოსაც და ეს უნიჭიერესი ბიჭები ფურორს ახდენენ – ჯერ იმარჯვებენ რესპუბლიკურ, შემდეგ საკავშირო ფესტივალზე, ხოლო 1957 წელს – ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფორუმზე – ოქროს მედლების ლაურეატები ხდებიან. ხმა გავარდა და ფესტივალის შემდეგ „შვიდკაცას“ მრავალი გასტროლი ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მაგალითად, ბელგიაში – „ექსპო-58“ „შვიდკაცამ“ გახსნა და ბუხუტი დარახველიძის ხალხური ცეკვის ანსამბლმა დახურა.

და, საერთოდ, როგორც ჩვენი ძვირფასი ანზორ ერქომაიშვილი აღნიშნავს, „შვიდკაცადან“ „აღმოცენდნენ“, შემდეგ და შემდეგ, ისეთი საინტერესო ფოლკლორული ანსამბლები, როგორიც იყო, მაგალითად, „გორდელა“ და, როგორიცაა დღეს საქვეყნოდ სახელგანთქმული „რუსთავი“.

„შვიდკაცამ“ რამდენიმე წელიწადს იარსება, ჯანსუღ კახიძეს მერე უფრო დიდი საქმე უხმობდა, მაგრამ ამ ანსამბლმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორის შემდგომ განვითარებაში.

ვანიკო, თავისი უნიკალური ხმით, სოლო სიმღერებით, მსმენელის აღტაცებას იწვევდა, მაგრამ, ეტყობა, პროფესიულ სცენაზე ეს იყო და ეს...

ვანიკო მაჭავარიანი თავის სპეციალობას – საფეიქრო საქმეს უბრუნდება, ერთ-ერთი დიდი საწარმოს თავკაცი ხდება, სოციალისტური შეჯიბრების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, მართლაც ნამდვილი კოლორიტია ქალაქისა, შესანატრია მისი უშუალობა, გულითადობა, ლბილი იმერული ხასიათი, იუმორის დიდი გრძნობა და, რაღა თქმა უნდა, ხმა – საოცარი, უჩვეულო, სისხლის ამაჩქროლებელი...

„იგი დაკარგული ტალანტია, – მეუბნება ვანიკოს შესახებ ცნობილი მსახიობი, ვანიკო მაჭავარიანის ახლო მეგობარი გურამ ლორთქიფანიძე, ჩვენი „ლორთქია“, – დამიჯერეთ, იგი საქართველოს ბულბულია, მაგის სიმღერა კვებავს ჩვენს საძმაკაცოს, მაგის სიმღერა გვაცოცხლებს, გვახსენებს ჩვენს ადრე წასულ ძმებს... მის სიმღერებში ცრემლია, ღიმილია, სიცოცხლეა... როგორ უყვარს თავისი მამა-პაპეული, როგორ ეფერება და უფრთხილდება იქაურობას... იგი ლაშელი თბილისელია, თავის შვილებს ხომ შეაყვარა, ახლა შვილიშვილებს აყვარებს ძირსა და ფუძეს!..“

კი ბატონო, ჩვენო „ლორთქი“, შეიძლება ქართულმა საოპერო ხელოვნებამ მართლაც დაკარგა ერთი ბრწყინვალე ბარიტონი, ჩვენმა ვანიკომ ვერ განაგრძო სიმღერა დიდ საკონცერტო დარბაზებში, მაგრამ, ვანიკო მაჭავარიანია, რომ შერჩა ტალანტი სიყვარულისა, ტალანტი მამა-პაპათა დაფასებისა, ტალანტი ადრე წასული მეგობრების გულიანად გაცილებისა, ტალანტი მეგობრებში განუმეორებელი მოლხენისა, ტალანტი შვილიშვილების და ციცქნა შვილთაშვილის ნაღდ ქართველებად მოქცევისა (მგონი, ჩემზე უფრო უყვართ ლაშეო, მითხრა), ჰოდა, ასეთმა კაცმა, ხომ დიდხანს უნდა იცოცხლოს?..

რა თქმა უნდა!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: 1958 წელი, ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში. გამოდის ანსამბლი „შვიდკაცა“. წინა პლანზე – მარცხნიდან: ვანიკო მაჭავარიანი, გოგი გუგუშვილი, მიხეილ შავიშვილი, მამია ხატელიშვილი, ჯანსუღ კახიძე (ხელმძღვანელი); ლაშეში, მამა-პაპეულ კარ-მიდამოში, შვილიშვილებთან – ირაკლი მიქელაძესთან და ვანიკო მაჭავარიანთან ერთად; ეს კი შვილთაშვილია – მიშიკო ცინცაძე.**





გულის ბუხარი

**რობერტ ძერია**

# პ. არაუდ ტაიდაზე

## ჩაფიქრებული კაცის ჩანაწერები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 240, 241.

### პეტრე მოვა, აბა, სად წავა!

ამ ხალხის გამკვირვებაა.

კედელზე ბუზს არ აჩერებენ. ეზოში შემოსეულ სპილოს ვერ ხედავენ.

ეტყობა არ უნდათ და არც ამჩნევენ.

საგანმანათლებლო სისტემის რეფორმაში მხოლოდ ასაკობრივი ცენზის შემოღებამ ააფორიაქა დიდიც და პატარაც.

ისიც უნივერსიტეტში.

არც იქ გაუმახვილებია ყურადღება ვინმეს მთავარზე, არსებითზე.

ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არავის არაფერი უთქვამს.

კერძოდ: გადადგომის წინ ყოფილმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ ერთი პრორექტორი დაუნიშნა.

ისიც მაშინვე რექტორის სავარძლიდან ალაპარაკდა.

კარგად მორგებული რექტორის მანტიით.

ვის რა უნდა ეთქვა.

მაღალი რანგის, განათლებული, გამოცდილი ადამიანი მოვიდა.

თუ მოიყვანეს?

ზემოდან წამოსული რეკომენდაციით, თუნდაც პირველი კაცის სურვილით.

მაინც უკითხავად, მაინც რეკომენდაციით.

არა და ასარჩევი. უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს დასტურის მისაცემი, მხარდასაჭერი.

სხვა შემთხვევაში უნივერსიტეტის სუვერენობამ, ავტონომიურობამ დალია ჩაილურის წყალი.

ხვალ ფაკულტეტების დეკანებს დანიშნავენ, ზეგ – კათედრის გამგეებს.

ინგლისურად ნასწავლი ყმაწვილები ჩაჯდებიან რბილ სავარძლებში.

გამოცდილება, მართვის ხელოვნება?

ყველაფერი მოვა, ალბათ დრო მოიტანს.

დრო უებარი მკურნალია.

ერთია მხოლოდ: სანამ პეტრე მოვა, პავლეს გასძვრება ტყავი.

ალბათ, ესაა საზოგადოების მეტყველი დუმილის საფუძველი.

იმედიც.

პეტრე კი...

პეტრე მოვა. აბა სად წავა?

### სულ არარაობას მაინც იმედიანად ყოფნა სჯობს

არ ვტყუი:

ნამდვილად არ ვარ შურიანი.

არ შემშურებია არაფერი.

არავისი.

არასდროს.

ერთი ეგ იყო: ქვეცნობიერად მაღიზიანებდა ამერიკელთა ყოფა.

სიუხვე არა.

არც ცხოვრების მაღალი დონე.

ადამიანებისადმი ყურადღების მასშტაბები მაფორიაქებდა. არ მშურდა – უბრალოდ, მაღიზიანებდა.

ერთი სულ უბრალო, თითქმის უმნიშვნელო ამბავი: მათ ჰქონდათ ტელეფონი, რომლის ნომერიც იცოდა თითქმის მთელმა ქვეყანამ.

9-11!

აკრეფდი სამ ციფრს და კურდღელივით გაინაბებოდი. რატომაც არა!

კარებში შემოვარდნილ ყაჩაღს პოლიცია მოგაშორებდა.

ისიც არაკორუმპირებული, წესიერი ხალხი.

სულთმობრძავს მოგასულიერებდა, სუნთქვას დაგიბრუნებდა მაღალკვალიფიციური ექიმი – სასწრაფო წესით გამოძახებული.

ცეცხლმოკიდებულს წყალს მაინც გადაგასხამდა მეხანძრე. ონკანი არ ექნებოდა საძებნელი. არც წყალს მოისაკლისებდა ჩვენსავით.

შურით არ გასკდებოდი, მაგრამ გული დაგწყდებოდა კაცს, რომელსაც გაჭირვების ჟამს არც პოლიციელი მოგაკითხავდა, არც ექიმი მოგიტანდა უფასო წამალს და რომც მოეტანა, წყალს ვერ იშოვიდი დასაყოლებელს.

არა!

„ქვეყანა სახელმწიფოს უნდა გავდესო“ – ბრძანა პრეზიდენტმა და თბილისში ამუშავდა მსგავსი ტელეფონი 0-22.

გქონდეთ იმედი!



საერთოდ, რაღაცის იმედი მაინც უნდა გქონდეს ცოცხალ ადამიანს, რომელსაც შეიძლება ყაჩაღიც დაგესხას, გულიც წაგივიდეს და ერთი ყლუპი წყალიც დაგჭირდეს წამალზე დასაყოლებლად.

თუ შინაგან საქმეთა მინისტრის ნდობაც შეიძლება, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ ასეთი ტელეფონები მთელ საქართველოს სამ თვეში „დაფარავენ“.

ეს რა თქმა უნდა, არ არის სახელმწიფოებრიობის უტყუარი ნიშანი.

გავს კი.

ნამდვილად გავს და ზოგჯერ მსგავსებაც რეალურზე ნიშანდობლივია.

სულ არარაობას მაინც ეს სჯობს – იმედიანად ყოფნა.

არც გუდაში მეცხვარის მიერ ჩასმული კატა ყოფილა თივა, მაგრამ ფარას გაზაფხულამდე მაინც ართობდა.

### დაუხატეთ პატარა უფლისწულებს ლამაზი ბატკნები

ფეხბურთის გიჟი ვარ.

ერთი ცოდვა მაქვს მხოლოდ: მარტო თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების მატჩებს არ ვაცდენ.

უფრო მეტის სურვილს ტელევიზიით ვიკმაყოფილებ.

მხოლოდ ახლახან გავტეხე ნავსი – თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრას დავესწარი.

უფრო ზუსტად: თამაშზე მივედი, საათნახევარი ფეხი არსად მომიცვლია, მაგრამ დღეს უკვე აღარ მახსოვს როგორი თამაში იყო, საერთოდ რა ანგარიშით დამთავრდა შეხვედრა.

ერთი სიტყვით, არ მინახავს თამაში.

საათნახევარი ერთ ტრიბუნას ვიყავი მიჩერებული. იქ თამაშზე სპეციალურად მოყვანილი მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები ისხდნენ. შეხვედრის დაწყებიდან დამთავრებამდე არ გაჩერებულან.

კარგი გულშემატკივრებივით უკრავდნენ ტაშს.

ფეხბურთელების ყოველ წაქცევაზე უსტვენდნენ...

მაინც მგონია, რომ თვითონაც არ იცოდნენ ვის ქომაგობდნენ და რატომ აპროტესტებდნენ მსაჯის მიერ წესების ყოველი დარღვევისათვის თამაშის შეჩერებას.

მათთვის მთავარი ტრიბუნაზე ჯდომა, სტაჟიანი გულშემატკივარივით ტაშის კვრა და სტვენა იყო.

უფრო ზუსტად, სტადიონზე ყოფნა რაღაცით ამაღლებდა მათ თავმოყვარეობას.

იმ შეხვედრის ყველაზე დიდი ღირსებაც სტადიონზე ამ ბავშვების მოყვანა და საათნახევრიანი ბედნიერების მინიჭება იყო.

ეს გამონაკლისი გახლდათ.

სტადიონზე მყოფებზე გაცილებით მეტი იმ დროს მიწისქვეშა გადასასვლელებთან, შუქნიშნებთან, ბაზრობების კარებთან იდგნენ და ხელები სამათხოვროდ ჰქონდათ გაწვდილი.

თბილისელებს 1921 წლიდან მოყოლებული დღემდე, ერთად არ ახსოვთ ამდენი მაწანწალა, უზედამხედველო, მიუსაფარი მოზარდი.

უფრო კონკრეტულად და ყველაფრისათვის სახელის დარქმევით – ქვეყნის ხვალინდელი დღის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი.

არც თბილისს ახსოვს ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი ამდენი გოგო-ბიჭი.

ხანდახან მეჩვენება, რომ კომუნისტები სულელები იყვნენ.

ორში ერთია.

მათ ან ფული ჰქონდათ ძალიან ბევრი ან მათხოვრული ხელფასებით ხელოვნურად ზრდიდნენ სამუშაო ადგილებს.

უზედამხედველო, ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობდნენ რაიონული საბჭოების აღმასკომების, რაიონული მილიციის სპეციალური ჯგუფები.

შემდეგ სკოლები, მოხალისეები.

ახლა თითქმის არავინ.

არც არაფერი.

9-10-ლარიან კინოში ასეთი მოზარდები ვერასოდეს შევლენ.

ვერც ცირკში, ზოოპარკში მოიოხებენ სიხარულს დანატრებულ გულებს.

სამაგიეროდ, დაყნოსავენ წებოს, გაყიდიან საკუთარ სხეულს, მოიპარავენ, გაძარცვავენ სხვებს და...

ყალიბდებიან საშიშ დამნაშავეებად, როგორც ამას სამართალდამცავები ნათლავენ ხოლმე.

დამნაშავე კი სად არის?

ვინ არის ის?

მე.

შენ.

ის.

მრავლობითში – ჩვენ.

საწყალმა პეტრემ არა, მაგრამ დიდმა ილიამ ჩინებულად იცოდა, თუ რა წვლილი მიუძღოდათ პეტრესა და მისთანეებს ანუ მთელ საზოგადოებას ორი ძმის ყაჩაღებად ჩამოყალიბებაში.

დიდი მხატვრული ძალით დაგვიხატა კიდეც ცნობილ ნაწარმოებში „სარჩობელაზედ“.

ახლა ვინ დაწერს ან ვინ ავა „სარჩობელაზედ!“

არც არავინ, თუმცა პასუხის გება სადღაც მაინც მოგვიწევს.

განკითხვის დღეს მაინც.

ერთი სიტყვით, ყველამ ერთად უნდა მოვიფშვნიტოთ თვალი, გამოვიბერტყოთ ყური.

ყველამ ერთად – ხელისუფლებამ, საზოგადოებამ, მისმა თითოეულმა წევრმა, ვინც კი ასეთად ვთვლით საკუთარ თავს.

ცოტა ხანს დავანებოთ თავი ტიტებს, ვარდებს, იებს და ენძელებს.

ვაჩუქოთ ამ ბავშვებს მომავალი.

ოღონდ არა ასე – ამ წერილის პათეთიკური ტონით.

მხოლოდ საქმიანი სიჩუმით, ჩუმი საქმიანობით.

... დაუხატეთ პატარა უფლისწულებს ლამაზი ბატკნები!

**(გაგრძელება იქნება).**

სახალხო დღესასწაულები

# „ლესიაობა“ დაგვიბრუნდა

**1987 წელს, შემოდგომაზე, როცა ხაშურელები „ლესიაობის“ დღესასწაულზე ჩამოსულ უკრაინელ სტუმრებს შინ აცილებდნენ, ვინ იფიქრებდა, თუ ამას 16-წლიანი შესვენება მოჰყვებოდა. ამ თექვსმეტ წელში კი საქართველოში ეკონომიკური წყობაც შეიცვალა და პოლიტიკურიც, ქვეყანა დაინგრა და ახლა თავიდან შენდება. დიდი ქარტეხილები გადაიტანა უკრაინამაც და როგორც კი ცა სასიკეთოდ მოიწმინდა, წლეულს, ზაფხულში, ლესია უკრაინკას მშობლიური ქალაქის ნოვოგრად-ვოლინსკის მერიამ ხაშურელები პოეტის უკვდავსაყოფად გამართულ „ლესიას წყაროების“ დღესასწაულზე მიიწვია.**

ამ დღეებში კი „ლესიაობის“ ზეიმმა კვლავ მოაკითხა სურამს და უკრაინელი მეგობრებიც გამოჩნდნენ ნოვოგრად-ვოლინსკის მერის მოადგილის ვალენტინა პიტიანოვიჩის თავკაცობით. „ლესიაობაზე“ მოიწვიეს, აგრეთვე საქართველოში უკრაინის საელჩოს თანამშრომლები, თბილისის ლესია უკრაინკას სახელობის უკრაინული სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.



დღესასწაული სურამში საინტერესოდ ჩატარდა. სტუმარ-მასპინძლებმა დაათვალიერეს ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმში გამოფენილი ახალი ექსპოზიცია, გვირგვინებით შეამკეს პოეტის ძეგლი, ხალხმრავალი მიტინგი კი, რომელიც სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა, ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. დიდი მოწონება ხვდა წილად ქართულ და უკრაინულ ხალხურ სიმღერებს, ლექსებს, რომლებსაც პოეტები თავიანთ მშობლიურ ენაზე კითხულობდნენ.

სტუმრებისთვის მოეწყო ექსკურსიები თბილისში, ბაკურიანსა და ბორჯომში.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“. საკ. კორ.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– გარდამეცვალა შორეული ნათესავი, რომელსაც ვპატრონობდი და ანდერძით მემკვიდრეობა ჩემზე აქვს გაფორმებული. იგი იღებდა მოხუცებულობის პენსიას სოცუზრუნველყოფის ორგანოებიდან თვეში 14 ლარის ოდენობით. გარდაცვალების მომენტისათვის მიუღებელი დარჩა რამდენიმე თვის პენსია.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მომეცემა თუ არა პირადად მე, როგორც მის მემკვიდრეს პენსიონერი ნათესავის მიერ მიუღებელი თანხები?**

**ლევან მელიქიძე.**

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხუცებულობის პენსიის თანხები, რომლებიც პენსიონერს ეკუთვნოდა და მიუღებელი დარჩა მისი გარდაცვალების გამო, არ შევა მემკვიდრეობის შემადგენლობაში და მიეცემა მისი ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც განეკუთვნებიან მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიით უზრუნველსაყოფ პირთა წრეს, მაგრამ მეუღლეს, მშობელსა და შვილს ეს თანხები მიეცემათ მიუხედავად იმისა, შრომისუნარიანები არიან თუ შრომისუუნაროები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაცვლილი ნათესავის მიუღებელი პენსიის თანხები თქვენთვის მოცემისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

**– გთხოვთ, განმიმარტოთ, მოწმეთა ჩვენებით, რა შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს შრომის სტაჟი?**

**აკაკი გვალია.**

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოწმეთა ჩვენებით შეიძლება დადგინდეს იმ პირთა სტაჟი, რომლებსაც არა აქვთ საბუთები მუშაობის სტაჟის შესახებ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის ან საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, სადაც ისინი მუშაობდნენ.

მოწმეთა ჩვენებით შეიძლება იმდენი შრომის სტაჟის დადგენა, რამდენიც პიროვნებას დადასტურებული აქვს ოფიციალური საბუთებით, მაგრამ არა უმეტეს პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟის ნახევრისა.

აქვე განვმარტავთ, რომ პენსიის დასანიშნად საჭირო მთელი სტაჟის მოწმეთა ჩვენების საფუძველზე დადგენა კანონით დაუშვებელია.

**ირინე ლლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 17. „აქაც ხომ ქართველები ხართ...“

## კურსის შესაცვლელად რეცეპტი მარტივია



**ესეც ასე: დროა, შევაჯამო ჩემი ორთვიანი პუბლიკაციების შედეგები. აჭარის მთიანეთის გაცნობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა: ეკონომიკის აღმავლობისთვის რესურსი არის. მაგრამ საკითხავია, როგორ ვიყენებთ მას ამჟამად და როგორ გამოვიყენებთ მომავალში. საერთოდ, ვიყენებთ კი? ადრეც, პრეფექტების დროსაც და მერეც, ყველა დონის ხელმძღვანელები გულუხვ დაპირებებს იძლეოდნენ (გაიხსენეთ ექსპრეზიდენტის სიტყვები: „უახლოეს ორ-სამ წელიწადში საქართველო ძლიერი, ეკონომიკურად აყვავებული ქვეყანა იქნება“). ორი-სამი წელიწადი კი არა, თორმეტი ისე გაფრინდა, ჩვენს გასაჭირს საშველი არა და არ დაადგა! დრო მიდიოდა, შეცვლით კი არაფერი იცვლებოდა, ვინაიდან... ქვეყანას შიგნიდან საკუთარი მაფია ხრავდა, გარედან კი არაჯანსაღი მითითებები. დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებს სჭირდებოდათ არა მწარმოებელი, არამედ მომხმარებელი საქართველო. და იმ თანხების დიდი ნაწილი, გრანტების სახით რომ გვაძლევდნენ, ხშირ შემთხვევაში, თავიანთივე ექსპერტების ხელფასებს ხმარდებოდა. სწორედ ამიტომ შემოთავაზებულ კრედიტებთან ერთად უხვად გვამარაგებდნენ პროგრამებით, რომლებშიც ყველაფერი იყო, ვითარების რადიკალური შეცვლის სურვილის გარდა...**

ეჭვიც არ მეპარება, რომ **ეს დამოკიდებულება გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველოს თავისი საკუთარი, გამოკვეთილი ეკონომიკური პოლიტიკა არ ექნება**. შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკის განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ამას წინათ მკაცრად გააკრიტიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. რა შედეგი მოჰყვება ამ კრიტიკას, შეიცვლება რამე თუ „ძველი მატარებელი“ ისევ ძველი რელსებით გააგრძელებს სვლას?

ფხიზელი (და ფრთხილი) თვალის მკითხველი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ჩემი **აჭარელი რესპონდენტების ლექსიკაში სჭარბობდა ზმნის ისეთი ფორმა, რომელიც მომავალს გულისხმობს და არა ამჟამინდელს – „გავაკეთებთ“ „განზრახული გვაქვს“, „მოვიზიდავთ“, „დავასაქმებთ“, „გავხსნით“, „ავამოქმედებთ“ და ა. შ. იმიტომ კი არა, რომ დღეს არ სურთ ამა თუ იმ საკითხის მოგვარება! უბრალოდ, საამისო ფინანსები არსად ჩანს. ეს ასეა არა მარტო აჭარაში, არამედ მთლიანად საქართველოში. ათასი საზრუნავით გულგამოხრულმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით მწვავე სოციალური საკითხების მოსაგვარებლად ვერ მოიცალა. მარტო მომავლის იმედად ყოფნას კი თავისი საზღვარი აქვს, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ იმედის ეს ძაფი არ გაწყდეს.**

აი, ამაზეც მქონდა საუბარი გამგებლებთან, ხელმძღვანელებთან, უბრალო პროფესიის ადამიანებთან. **ისინი ჯერჯერობით ყველაფერს გაგებით ეკიდებიან. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ხვალაც, ზეგაც ყოველივე ისევ მხოლოდ დაპირებებით გაგრძელდა, მაშინ რა მოხდება?**

ერთი სიტყვით, ქვეყანამ თვითონ უნდა აირჩიოს თავისი განვითარების გზა. **მხოლოდ სხვათა რეკომენდაციებსა და მითითებებზე აქცენტი დამღუპველია**. ამასვე ამტკიცებს ეკონომისტთა და ფინანსისტთა სოლიდური ჯგუფი, ოღონდ... მატარებელი მაინც აჩემებული გზით მიდის. **წარსულის გამოცდილება გვარწმუნებს ორ სკამზე ჯდომის პრაქტიკის მავნეობაში. როცა ქვეყანას გამოკვეთილი, ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა ექნება, მაშინ რეგიონებიც უფრო ეფექტურად გამოიყენებენ შიდა რესურსებს. ასე იქნება ხულოშიც, ქედაშიც და შუახევშიც.**

ვიცი, ახალს არაფერს ვამბობ და ასე დაუსრულებლად შეიძლება მსჯელობა. ამიტომ უპრიანი იქნება, თუ ისევ ჩემი მასპინძლების ზოგიერთ მოსაზრებას, რეპლიკას თუ შეხსენებას მივუბრუნდები. ჩვენ, ცოტა არ იყოს, დელიკატურ თემებზეც გვქონდა საუბარი. ეს იყო უანგარო მეგობრების ალალი გულისტკივილი და არა ჩასაფრებული „მოყვასის“ ნიშნისგება. სხვათა შორის, რაც მათ „შემომბედეს“, იმაზე მეც არაერთხელ მიფიქრია. „როყიო ადამიანებმა ხან თათარი მიწოდეს, ხან – თურქი, თითქოს ჩემი ბრალი იყო, თავის დროზე შინაგამცემებმა აჭარა მტერს რომ მიუგდეს საჯიჯგნად და მრავალი საუკუნის მანძილზე სხვის დაკრულზე გვათამაშებდნენ“. რომ არა ისევ აჭარელი კაცის თავდადება და ერთგულება, არავინ იცის, როდის დაუბრუნდებოდა ეს კუთხე დედასაქართველოს. **„დღესაც ბევრი როგორც უცხოს, ისე გვიყურებს. ხშირად გაიგონებთ, ჩვენს აჭარელ ძმებს მივეფეროთო. ჯერ ერთი, რაღა ჩვენ უნდა მოგვეფეროთ და არა, ვთქვათ, გურულებს, კახელებს, ქართლელებს, ხევსურებს... რა, ვიღაც ჭკუანაღრძობი მართლა ფიქრობს, რომ ჩვენ, აჭარლები, „სხვები“ ვართ?“** ან ეს „აჭარელი ძმა“ რაღა ჯანდაბაა? „ძმა“ ამ გაგებით შეიძლება იყოს რუსი, სომეხი, თურქი – რომელიც გნებავთ არაქართველი, მაგრამ... არამცდაარამც აჭარელი! **ეტყობა, ბევრს კვლავაც ესაჭიროება შეხსენება, რომ აჭარა იგივე საქართველოა და ისიც ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც რაჭა, სვანეთი, იმერეთი...**

ხომ გენიშნა, ჩემო მკითხველო, რამაც გაანაწყენა ჩემი მასპინძლები ხულოში, შუახევში, ღორჯომსა თუ სხალთაში... დაკონკრეტება საჭირო არ არის. აქ მთავარია აქცენტის კანონზომიერება და ტენდენცია, რომელიც უთუოდ დასაგმობია. იმავე რაიონებში, ადრეც და ახლაც, ხშირად ეწყობა ღონისძიებები, რომლებიც ქართული სულისკვეთებით არის გაჯერებული და ქვეყნას ჰაერივით სჭირდება.

ესეც ვთქვათ: **აჭარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე დაუბრუნდა მამა-პაპის სარწმუნოებას, რომ ბევრგან აშენდა ეკლესიები. თუ აქა-იქ ისევ არიან ისლამის მიმდევრები, იყვნენ, ბატონო! არც ამით დაშავდება რამე, მთავარია, მკერდში პატრიოტის გული უცემდეთ! ბოლოსდაბოლოს, განა ქართველმა არა თქვა, „კაცი იყავი კაცური და, სადაც გინდა, იქ ილოცეო!“**

ახლა კიდევ ერთ საკითხს მივუბრუნდები, რადგან უთქმელობა არ ეგების: ამ რამდენიმე დღის წინათ მასმედიამ გაავრცელა ცნობა ხულოსა და შუახევის გამგებელთა დაკავების შესახებ. ისინი ამ თანამდებობაზე „ვარდების რევოლუციამ“, ახალმა ხელისუფლებამ მოიყვანა – ნდობა გამოუცხადა. ექვსი თვეც არ გასულა და ასეთი თავზარდამცემი ამბის მოწმეები ვხდებით. რა ხდება? არც იმის უთქმელობა ეგების, რომ მოსახლეობა დაკავებულებს ექომაგება და თავდებით გამოშვებას ითხოვს.

ახლა იმ გამოხმაურებათა შესახებ, რაც აჭარაზე ჩემს პუბლიკაციებს მოჰყვა. მადლიერება გამოხატეს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ, ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მურმან ბერიძემ, აჭარის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ ღლონტმა, ხულოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ეთერ დეკანაძემ, შუახეველმა მეფუტკრემ ფრიდონ დავითაძემ. ხულოს გამგეობის მადლობის წერილი კი ჩვენი გაზეთის 20 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა. **ყველაფერი მოწმობს, რომ აჭარელ კაცს მოენატრა გულიანი სიტყვის მოსმენა, მისი გასაჭირისა თუ სიხარულისათვის თანადგომა**. ნარკვევების გამოქვეყნება ხვალინდელ დღეზე ზრუნვისათვის განგვაწყობსო, – ნათქვამია გამგეობის წერილში. **ეს მავალდებულებს, რომ მომავალი წლის ზაფხულში ისევ ვთხოვო რედაქციას მივლინება, შემოვიარო ის ადგილები, სადაც წლეულს ვიყავი, შევხვდე ადამიანებს, რათა გავარკვიო, რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში განვლილი დროის მანძილზე. ეს იქნება ჩემი უსაზღვრო მადლიერება თითოეული აჭარელის – ამ უმშვენიერესი კუთხის შვილებისადმი..**

იმედი არის, მაგრამ მაინც გული მტკივა, რომ ორთვიანი რეპორტაჟებისა და ჩანახატების შემდეგ ამ შემაჯამებელ წერილს რამდენადმე პესიმისტურ ტალღაზე ვამთავრებ. რაც შეეხება ხელისუფლებას: **განსჯისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შესაცვლელად რეცეპტი მარტივია: აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისადმი მეტი ყურადღება და მა-[illegible] ბა...**

ჩაუმქრალი ვარსკვლავები

# მშვენიერება სულისა

**ახალგაზრდობის წლებში დამანა ტანმაღალი, კარგი აღნაგობის გოგონა იყო. მუდამ გაშლილი ჰქონდა წაბლისფერი თმები. გადაკალმული წარბების ქვემოთ დიდ, თაფლისფერ, ნუშისმოყვანილობის თვალებში ამოიკითხავდი ირონიას, დაცინვას, სიკეთეს, იუმორს.**

სახეს ამშვენებდა მაღალი შუბლი, ქართული ცხვირი, ძალზე ქალური ტუჩები, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი...

დამანა შეძლებული ოჯახიდან იყო და იმ წლებშიც, როცა ომი ახალი დასრულებული იყო, მაინც ახერხებდა კარგად ჩაცმას, ზოგჯერ ოქროს სამკაულებსაც ატარებდა. იგი ცხოვრობდა ინსტიტუტის მახლობლად და გაკვეთილის გაცდენის ან დიდი შესვენების დროს სტუდენტები მასთან მიდიოდნენ დასასვენებლად, როიალზე დასაკრავად, წასახემსებლად.

დამანას ჰქონდა თავის ირგვლივ ამხანაგების გაერთიანების საოცარი ნიჭი, რომელიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში არ დაუკარგავს. ინსტიტუტი უკვე კარგა ხნის დამთავრებული გვქონდა, მაგრამ მასთან სახლში კვლავ იკრიბებოდა ჩვენი



კურსის ელიტა, კალენდარული თუ ოჯახური დღესასწაულების აღსანიშნავად.

ვნათლავდით ერთმანეთის შვილებს, თუ ვინმეს უჭირდა – მატერიალურად, ვეხმარებოდით...

დამანა კარგად სწავლობდა, ჩინებული გარეგნული მონაცემები კი სასცენო სახის ხორცშესხმაში უწყობდა ხელს. მახსოვს იგი, „ლუტონინების ოჯახში“, რომელიც აკაკი ხორავამ დადგა. დამანამ სცენაზე განასახიერა ლუტონინების რძლის – აგნიას როლი, რომლის ქმარიც სამამულო ომში დაიღუპა.

თავდაპირველად, ეს როლი ჩემთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ, ხორავას აზრით, იგი მე არ გამომივიდა. და მეც ამაში ვეთანხმებოდი დიდ მსახიობსა და რეჟისორს. ეს იყო უბედურებით დათრგუნული ქვრივი ქალის როლი, რომელმაც უარი თქვა ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე, ახალ, დიდ სიყვარულზე.

დამანამ ძალზე გონივრულად და ტაქტიანად განასახიერა ეს როლი, რითაც თეატრმცოდნეობის პატრიარქის დიმიტრი ჯანელიძის ქება დაიმსახურა.

სობკოს პიესაში „მეორე ფრონტს მიღმა“ დამანამ შეასრულა საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველი ქალის – მარი კლერის როლი, და ასევე დამსახურებული წარმატება მოიპოვა.

და აქაც, ბედმა ისე ინება, რომ ერთმანეთს გადაეჯვარედინა ჩვენი შემოქმედებითი გზები: როლების განაწილებისას მიხეილ თუმანიშვილმა მარი კლერის განსახიერება მე შემომთავაზა. ამ როლზე დიდხანს არ მიმუშავია, რადგან იმ პერიოდში, ჩემს ცხოვრებაში მოხდა ისეთი მოვლენა, რომელმაც 4 თვით ჩამომაშორა არა მარტო ინსტიტუტს, არამედ, საერთოდ, ცივილიზებულ ცხოვრებას... სცენაზე მარი კლერის სახეს ხორცი შეასხა დამანამ. და, გამოხმაურებებით თუ ვიმსჯელებთ, ძალზე კარგად.

იგი კარგად მღეროდა და გარკვეული დროის განმავლობაში მეცადინეობდა სანდრო ინაშვილთან. მსახიობი, რომელსაც სიმღერა შეუძლია, თეატრისთვის ორმაგი შენაძენია...

ინსტიტუტიდან განაწილებით დამანა მოხვდა ბათუმის დრამატულ თეატრში. თავდაპირველად იგი მონაწილეობდა ყველა სპექტაკლში, მასობრივ და პატარა ეპიზოდებში. სცენაზე იგი შესანიშნავად გამოიყურებოდა: გრიმი, ვარცხნილობა, გარდერობი, ჩამოქნილი მხრები, ლამაზი აღნაგობა, ყოველივე ამის წყალობით იგი გამოირჩეოდა ძველი შემსრულებლებისგან.

რად ღირდა მარტო მისი ბოშა ქალი „ცოცხალი ლეშიდან“! ეს როლი ყველა მაყურებლის უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა.

დამანამ სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი თეატრის რეპერტუარში და მრავალი წამყვანი როლი შეასრულა. მათ შორის აღსანიშნავია კესო – „ოთარაანთ ქვრივიდან“, ძიძია – „ხევისბერი გოჩადან“, სკავრონსკაია – „ბაგრატიონიდან“; მან ბრწყინვალედ შეასხა ხორცი უმშვენიერესი ეკატერინე ჭავჭავაძის სახეს პიესაში „ბარათაშვილი“, კნიაჟნა ფაციას – „გუშინდელნი“, გულიკოს – „მკაცრი ქალიშვილები“, მეფის ასულს „მირანგულაში“ და მრავალი სხვა.

თეატრში მუშაობის ორი წლის განმავლობაში დამანამ უამრავი როლი შეასრულა და ბათუმელი მაყურებლის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი გახდა.

მაგრამ ქალის ბუნებრივი ტვირთია გათხოვება და ოჯახის შექმნა. და ყველა როდი ახერხებს შემოქმედებით საქმიანობასთან ამის წარმატებით შეხამებას. დამანამაც ოჯახი აირჩია, თუმცა, არ გაუწყვეტია კავშირი ხელოვნებასთან, მაგრამ აქ იგი უკვე სულ სხვა როლში მოგვევლინა. ახლა იგი უძღვება აკადემიურ კონცერტებს ფილარმონიაში, მუშაობს რადიოში, ასწავლის მეტყველების ტექნიკას თეატრალურ სასწავლებელში. იგი მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე, ძალზე ფართო და მრავალფეროვანია მისი ინტერესების წრე – უყვარს ფერწერა, რომელშიც პროფესიულ დონეზე ერკვევა, ცდის თავის შესაძლებლობებს ხელოვნების ამ დარგში. მას უამრავი ეტიუდი და ჩანახატი აქვს, საკმაოდ მაღალ დონეზე შეასრულა ავტოპორტრეტიც...

სულ მალე იგი გამოეხმაურა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსს. დამანამ შექმნა თავისი პირველი ლიტერატურული ნაშრომი. აქაც წარმატება აშკარა იყო.



არქივების შესწავლისას დამანა პოულობს აქ ჩამოსული უამრავი უცხოელის ჩანაწერებს, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ ქართველი ერის უნიკალურობით, მისი საუკუნოვანი კულტურით, მაღალი სულიერი პოტენციალით და ქართველების კეთილშობილური სილამაზით...

გასული საუკუნეების მოღვაწეთა ისტორიული პორტრეტების გამოკვლევამ და თანამედროვეობასთან მათმა შედარებამ დამანას ჩააგონა რამდენიმე ეპოქის გამოჩენილი ქართველი ქალების საინტერესო ბედის ალმანახის შექმნის იდეა.

და ეს მან მოახერხა!

გამოიცა წიგნი „მშვენიერთა სავანე“. ამ სამუშაოს უზარმაზარი რეზონანსი ჰქონდა. პუბლიკაციებში მრავალმა ოჯახმა ამოიცნო თავისი სახელგანთქმული წინაპრები, გამოჩენილი თანამედროვე მოღვაწეები.

ამ მუშაობით შთაგონებულმა დამანამ შექმნა პორტრეტების მეორე სერია, რომელსაც უწოდა „სამოთხის კუთხე“.

ახლა დასაბეჭდადაა გამზადებული ალმანახის მესამე სერია – „იმერეთის თავადაზნაურობა“.

ჩვენმა დამანამ იპოვა „ოქროს კრედო“ თავის შემოქმედებაში. ვუსურვოთ მას საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა და დიდი წარმატება ამ სარბიელზე.

**დიანა კესნერი.**

**სურათებზე: დამანა მდივნიშვილი; დამანა მდივნიშვილი ძიძიას როლში („ხევისბერი გოჩა“, 1952 წელი, ბათუმის თეატრი).**

## ღალატი გამორიცხული არ არის

**ერაყის უშიშროების ძალების თანამშრომლებს ეჭვი აქვთ, რომ მოთარეშეებს, რომლებმაც შაბათს ერაყის არმიის 50-მდე ახალწვეული დახოცეს, შესაძლოა, ხელი მიუწვდებოდათ დახურულ ინფორმაციაზე.**

მოთარეშეებს, კერძოდ, შეიძლება სცოდნოდათ, რომ ჯარისკაცები, რომლებმაც ის-ის იყო დაასრულეს პირველადი მომზადების კურსი, შინ მიკროავტობუსებით ბრუნდებოდნენ, – აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები. დახოცილი ჯარისკაცების ცხედრები იპოვეს ირანის საზღვრის მახლობლად მდებარე საწვრთნელი ბაზის მიდამოებში. ადგილობრივ პოლიციას მიაჩნია, რომ მოთარეშეები წინასწარ იყვნენ ჩასაფრებული.

„როგორც ჩანს, არსებობდა საიდუმლო შეთქმულება ჯარისკაცებსა და სხვა ჯგუფებს შორის, – განაცხადა „ალ-არაბიის“ არხისთვის მიცემულ ინტერვიუში დიაილას პროვინციის გუბერნატორმა აქილ ჰამიდ ადილიმ. – მოთარეშეებმა ჯარისკაცები დახვრიტეს. ჩვენ ვიპოვეთ ცხედრები, რომლებსაც მიყენებული ჰქონდათ ერთადერთი ჭრილობა თავის არეში“.

ამავე დროს, ვებსაიტზე, რომელზეც ხშირად ქვეყნდებოდა იორდანიელი აბუ მუსაბ ზარქავის დაჯგუფების მიერ გავრცელებული ინფორმაციები, გამოჩნდა განცხადება, რომელშიც ამ ორგანიზაციამ იკისრა პასუხისმგებლობა ერაყელი ახალწვეულების მკვლელობისთვის. ზარქავის დაჯგუფებამ ამ ცოტა ხნის წინ შეიცვალა სახელი და მას ახლა ეწოდება „ალ-ყაიდას“ ორგანიზაცია ერაყში წმინდა ომის წარმოებისთვის“.

ამ განცხადების სარწმუნოობის შემოწმება ჯერჯერობით შეუძლებელია.

„როგორც ჩანს, ჩასაფრება მოაწყო დიდმა და კარგად ორგანიზებულმა ძალამ, რომელსაც შესანიშნავი დაზვერვა აქვს“, – განუცხადა რეიტერის სააგენტოს ერაყის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალწვეულთა უმრავლესობა იყვნენ ერაყის შიიტებით დასახლებული რაიონებიდან, მათ შორის, ბასრიდან, ამარიდან, ნასირიიდან და სხვა ქალაქებიდან.



## ოპოზიცია კვლავ მიტინგებს მართავს

**უკრაინის ოპოზიციამ გამართა კიდევ ერთი დიდმასშტაბიანი მიტინგი. შაბათს კი, კიევში გამართული საპროტესტო დემონსტრაცია დასრულდა შეტაკებით, როცა მომიტინგეებს თავს დაესხნენ დანებითა და ხელკეტებით შეიარაღებული დაუდგენელი პირები.**

კვირას ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო სიმფეროპოლში გამოვიდა მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა წინაშე. დაძაბულობა უკრაინაში სულ უფრო მწვავდება, არჩევნებამდე კი ერთ კვირაზე ნაკლები დრო რჩება. ქვეყნის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გადადო სამუშაო ვიზიტი პოლონეთში და ეს

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროვოკაცია. მილიციის სპეციალური ქვეგანაყოფების მებრძოლებმა შეკრებილ ხალხს დაუშინეს ქვები და მუშტი-კრივი გაუმართეს საპროტესტო აქციის მონაწილეებს“, – აღნიშნა მან.

ამავე დროს, უკრაინის ხელისუფლებამ დამატებით 40-ზე მეტი უბანი გახსნა რუსეთში, სადაც ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცალმხრივად აშუქებენ წინასაარჩევნო ბრძოლას, ანიჭებენ რა უპირატესობას ვიქტორ იანუკოვიჩს.



ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებით ახსნა.

სიმფეროპოლში, ლენინის მოედანზე გამართული მიტინგის დროს უშიშროებას უზრუნველყოფდა ათასამდე მილიციელი, სცენაზე კი თვით იუშჩენკოს გვერდით იდგა პირადი მცველი. ეს მიტინგი გაიმართა მას შემდეგ, რაც კიევში დემონსტრაციის დროს მოხდა დიდი შეტაკება. მიტინგის დასრულების შემდეგ, პრესკონფერენციაზე, იუშჩენკომ ყველაფერში მილიცია დაადანაშაულა.

უნდა აღინიშნოს, რომ კიევში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაზე გამოვიდა ასზე მეტი ჟურნალისტი, რომლებიც მთავრობისგან მოითხოვდნენ სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გამოცხადებული ომის შეწყვეტას. ჟურნალისტთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ოპოზიციურ TB-5 ტელეარხთან დაკავშირებულმა სიტუაციამ, რომელსაც ჩამოართვეს კიევის ოლქში მაუწყებლობის ლიცენზია და გაუყინეს საბანკო ანგარიშები.

## მოკლედ

**სასამართლომ გაამართლა ლიტვის ექს-პრეზიდენტი როლანდას პაქსასი. სასამართლოს განაჩენში ხაზგასმულია: არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმის, რომ 2003 წლის მარტში თავისი წინასაარჩევნო კამპა-**



**ნიის ძირითად სპონსორთან, რუსეთის ფედერაციის მოქალაქესთან იური ბორისოვთან სატელეფონო საუბრის დროს პაქსასმა მას „შეგნებულად მიანიშნა“, რომ მისი სატელეფონო საუბრები ისმინებოდა.**

* * *

**ამერიკელი ბავშვები მხარს უჭერენ ჯონ კერის. ამას მოწმობს ერთ-ერთი თანამგზავრული ტელეარხის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები. კერის მხარს უჭერს ბავშვების 57 პროცენტი, ბუშს კი – 43. გამოკითხვაში მონაწილეობდა 400 ათასი ადამიანი.**

* * *

**ბაღდადში, ავსტრალიის საელჩოს შენობის წინ აფეთქდა ავტომობილი, დაღუპულია ორი კაცი – ეროვნებით ერაყელები. პოლიციის მონაცემებით, აფეთქების შედეგად რამდენიმე ბავშვიც დაიჭრა.**

* * *

**ლას-ვეგასის სასტუმრო-სამორინის, დაახლოებით, 60 სტუმარი აქამდე უცნობი დაავადებით დასნეულდნენ. ამ დაავადების სიმპტომები ძალზე წააგავს გრიპისას. ისინი, კერძოდ, უჩივიან ღებინებას, თავის ტკივილს და კუჭის აშლილობას.**

* * *

**სან-ფრანცისკოს აეროპორტში ავიალაინერი მოხსნეს რეისიდან. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ეკიპაჟის წევ-**



**რმა აღმოაჩინა ბარათი, რომელიც მიწებებული იყო საკვების შესანახად განკუთვნილ ერთ-ერთ კონტეინერზე. აეროპორტის წარმომადგენლებმა ბარათის შინაარსი საეჭვოდ მიიჩნიეს და ამის გამო არჩიეს რეისის გადადება.**

* * *

**ლეგენდარული რევოლუციონერი ჩე გევარა დაუმარხავთ საძმო საფლავში, რომელიც შემდეგ მიწასთან გაასწორეს, მოაასფალტეს და გადააკეთეს დაბა ვალიე-გრანდეს მიდამოებში გახსნილი აეროდრომის ასაფრენ-დასაჯდომ ზოლად. ამას მოწმობს დოკუმენტები, რომლებსაც არგენტინაში მოეხსნა საიდუმლო გრიფი.**



## მიწისძვრამ ათასობით იაპონელი დააზარალა

**ათასობით იაპონელი უკვე მეორე ღამეს ათევს ღია ცის ქვეშ ქვეყანაში მომხდარი ძლიერი მიწისქვეშა ბიძგების სერიის შემდეგ.**



სამხედრო ვერტმფრენები ჩაებნენ სამაშველო ოპერაციაში. ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეები აღნიშნავენ, რომ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რაიონებში სასწრაფოდ უნდა ჩაიტანონ სურსათი, წყალი და საბნები.

მიწისძვრის შედეგად ტოკიოს რაიონსა და ქვეყნის ჩრდილოეთ პრეფექტურებში დაიღუპა, სულ ცოტა, 21 კაცი, მრავალი ადამიანი დაშავებულია. ადგილობრივ საავადმყოფოებში უამრავი დაშავებული მიიყვანეს.

საერთო ანგარიშით, მიწისძვრა დაახლოებით, 12 საათს გრძელდებოდა.

პარასკევს, გვიან ღამით პირველი ბიძგის სიმძლავრემ რიხტერის სკალით 6,8 ბალი შეადგინა.

მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა იაპონიის დედაქალაქიდან ჩრდილოეთით 260 კილომეტრზე, ჰონსიუს კუნძულზე, ნიიგატის პრეფექტურაში. ზოგიერთ რაიონში მიწისძვრამ დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები და მოშალა სატელეფონო კავშირი.

დაინგრა მრავალი სახლი, გზებზე გაჩნდა ნაპრალები, რელსებიდან გადავიდა ჩქაროსნული მატარებელი.

რამდენიმე საათის შემდეგ ნიიგატის პროვინციაში განმეორდა მძლავრი მიწისქვეშა ბიძგების სერია, რომლებიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა.

მაშველები მთელი დღის განმავლობაში წმენდნენ სახლების ნანგრევებს და ეძებდნენ ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს, მაგრამ სამაშველო ოპერაციათა განხორციელებას ართულებდა მეწყრები და დაზიანებული საავტომობილო გზები.

მიწისძვრამდე კი, იაპონიის არქიპელაგს თავს დაატყდა მძლავრი ტაიფუნი, რომელმაც 80-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კოკისპირულმა წვიმებმა და მიწისძვრამ ნიიგატის პრეფექტურაში მეწყრების ჩამოწოლა გამოიწვია.

იაპონია მდებარეობს დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე სეისმურად აქტიურ რეგიონში. 1995 წელს ქალაქ კობეში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 6400 კაცი.

თავები ახალი წიგნიდან

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

(მესამე გვერდიდან)

როგორც მერე თვითონ იტყვის, „ჩვენი ყველაზე დიდი საგანძურის შემქმნელ“ კაცთან მოვიდა, დადგა იმ ქუჩა-ხეივნის სათავეში, რომელიც დღეიდან მის – შოთა რუსთაველის სახელს ატარებს და ალაპარაკდა.

აჰა, აქამდე მოგვიყვანა იმ დიდმა ადამიანმა.

მკითხველს ვთხოვ, მაპატიოს საკუთარი ნაწარმოების ციტირება, მაგრამ იქ რომ დავდექით, ამ წუთებიდან შოთა რუსთაველის ქუჩა-ხეივნის სათავეში ჩემი პიესა „ვალის“ პერსონაჟის დათიკო მეგრელიშვილის მონოლოგი ჩამესმოდა ყურში:

„ასე შორს რამ წამოგიყვანა, შე დიდო ადამიანო... ეს დღეც იცოდი? იცოდი, რომ არც აქ დაიკარგებოდი? შენმა საფლავმა გაგვაერთიანოს კიდევ უფრო, შენმა სულმა შეგვაერთოს, თორემ ვერ ძლებს გული... შენ მიეცი შვების სიხარული ჩვენს სულს... მივდივარ მე... ჩემს ღმერთს უნდა შევთხოვო, რომ მოგვცეს ძალა და უნარი, შენც შეევედრე შენს ღმერთს, კეთილი თვალით გადმოგვხედოს. სხვადასხვაა ჩვენი ღმერთი, მაგრამ როცა ქვეყნის საქმეს ვაკეთებთ, ყველას ერთი ღმერთი გვყავს, ერთია ღმერთი სიკეთისა და იმან მოგვცეს ძალა ძლევისა და ნიჭი დაუმარცხებლობისა“.

კი, მოვედით დღეს აქ, რუსთაველის საფლავთან ისინი, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება „ძალა ძლევისა და ნიჭი დაუმარცხებლობისა“. ტრიბუნასთან დადგა საქართველოს უზენაესი პირი. რაზე უნდა ილაპარაკოს მან შოთას საფლავთან, მისი სახელობის ქუჩა-ხეივნის სათავეში. კი, კარგად იცის იერუსალიმში ქუჩის გახსნა უზარმაზარი მოვლენაა. ამ ქალაქში ყოველ ერს, ყოველ ქვეყანას სწადია, თუნდაც პაწია შუკა. ეს ქუჩა ხომ მონასტერს გააძლიერებს, მიუვალ ბასტიონად გადააქცევს ლეგენდას იმის თაობაზე, რომ რუსთაველი აქ არის დასაფლავებული, რეალობას მიუახლოებს. ამას ჩახვდა საპატრიარქოს კაცი და აღრიალდა.

პრეზიდენტი ლაპარაკობს მთავარზე: ქართულ კულტურაზე. საქართველოს სიუზერენი „ყველაზე დიდი საგანძურის შემქმნელს“ მოახსენებს, როგორ ილვწოდნენ, რასაც ქმნიდნენ ქართველნი – ქმნიდნენ კია დიდ კულტურას, დიდ აზრს!

ბედი მუხთლობდა. მუხლში იკეცებოდნენ, მაინც გასძლეს, მაინც არიან.

ქმნიდნენ, იბრძოდნენ, იბრძოდნენ, ქმნიდნენ და, აი, დღემდე მოვიდნენ. მოვიდნენ და ამ მარადიულ ქალაქში (რომი იმონებდა, რომი სხვათა დამთრგუნველი იყო, იერუსალიმი კი სულიერების შემოქმედი იყო), ქალაქთაქალაქში თავფურცელზე გამოიტანეს მისი სახელი.

დიახ, არის ჟამი ნგრევისა და არის ჟამი შენებისა. ისეთი პირი უჩანს, რომ ამ თაობას შენების დარი უდგას.

აქ პრეზიდენტი ხშირად ლაპარაკობს ქართული კულტურის რაობაზე – დასავლეთის კულტურას, ყოფას, მენტალიტეტს პატივისცემით იხსენებს, ემოციას კი სავალალო სინამდვილე აღუძრავს: ქართული კულტურა, მიუხედავად აღიარებისა, მაინც კავკასიის თუ ყოფილი საბჭოეთის არეებშია



მოქცეული, თუმცაღა, სრულ თანაბრობას იმსახურებს. იგი ამაზე არ ლაპარაკობს, მაგრამ აწუხებს, აშკარად აფორიაქებს ის, რომ ქართული კულტურა სათანადოდ არ არის წარმოჩენილი. ამ მცირერიცხოვანი ხალხის კულტურამ განა ნაკლები მისცა კაცობრიობას, ვიდრე იმათ, ვინც დღეს კაცობრიობის სახელით ლაპარაკობს.

რა გაეწყობა, ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კი...

მაგრამ შენი ოქრო რომ ოქროობდეს, თურმე მხოლოდ ის არ არის საკმარისი, ხელში ოქრო გეჭიროს.

ბევრი ერის კულტურა მაშინ წარმოჩინდა, როცა ამ ქვეყნებმა ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებას მიაღწიეს. ეს იცის პრეზიდენტმა და აღელვებს, აშფოთებს. ბევრი რამ უნახავს, ბევრი ქვეყანა მოუვლია, სხვა ხალხში ათასი ფუთი მარილი უჭამია და კარგად აცნობიერებს ქართული კულტურის რაობას.

ეს ერთი. მეორე: ძალიან ძნელია ემოციამ არ გაგიტაცოს, ემოციური არ იყო, როცა ფერეიდანში 400 წლის წინათ საქართველოდან მოკვეთილ, მაგრამ მაინც ქართველებად დარჩენილთ ხვდები, როცა ოსმალეთში ხვდები – ქართველობას ან იერუსალიმში – ქართველ ებრაელობას. ყოველ ამათგანში კვლავ ქართული გამოხედვა კრთის, ქართული შეძახილი ისმის, ქართული სული ცოცხლობს. იგი ახალგაზრდა, ჯანსაღი, ჯან-ღონით სავსეა და სულაც არ თვლის თავს ვალდებულად, თავი ჩაიყენოს რობოტის მდგომარეობაში, რომელიც მოქმედებს, მაგრამ არ განიცდის, არც სიცხეს გრძნობს, არც – სიცივეს. იგი განიცდის თავისი სამშობლოს სრულიად ახლო თუ შორეული წარსულის ტრაგიკულ ფურცლებს. სრულიად სხვა თაობის შვილია, სხვა სინამდვილეში აღზრდილი – უცხოეთში სწავლის წლებმა, სხვადასხვა ერის გაცნობამ, გამოუმუშავა უნარი დისტანციური ხედვისა. გამოუმუშავა არა მხოლოდ ანალიზის, გააზრებულის გაჩხრეკის, საკუთარის უცხო თვალით დანახვის უნარიც – ხედავს იმას, რასაც ჩვენ თვალი შევაჩვიეთ. და რაც უფრო დიდია ეროვნული კულტურის რაობის განცდა, მით უფრო დიდია ამ კულტურის შემქმნელი, მატარებელი ერის მარცხის სიმწარის შეგრძნება. იგი ვერ ურიგდება მარცხს, იმასაც ხედავს, მარცხის მიზეზი მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოს საუკუნეობრივ იმპერიულ ვნებებში კი არ არის, ჩინოვნიკთა, დიდმოხელეთა გაუმაძღრობაშიც. მათ მუცელი ამჯობინეს სამშობლოს, პრეზიდენტის ჭეშმარიტ სამსახურს. ამიტომაც დავითის კოშკში მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს საქართველო აღარ იქნება დამცირებული!“ და-ძმათა შორის წარმოთქმული ფიცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი იმის აღთქმას იძლეოდა, რომ დიდმოხელეთა, ურჩ ფეოდალთა სათარეშო აღარ იქნება საქართველო. ეს კი, უწინარესად, მისმა გარემოცვამ უნდა შეისმინოს. დღეს მისსავე გარემოცვაში უნდა მოვძებნოთ ხვალინდელი სიმაძღრით გაქსუებული დიდმოხელენი, თორემ მე არც წინა პრეზიდენტის კეთილსინდისიერებაში მეპარება ეჭვი.

საქართველოს პრეზიდენტი დიდი მეფის, წინასწარმეტყველის, მეფსალმუნის სამყოფელში, იქ, საიდანაც დავით მეფე იერუსალიმს გასცქეროდა ხოლმე, ფიცს სდებდა. საქართველოს დამცირებულობას წარსულს აბარებდა და იმავე დიდ მეფეს, ისრაელის გამაერთიანებელსა და იერუსალიმის დედაქალაქად მაკურთხებელს, თანადგომასაც თხოვდა.

ქართველი ებრაელობაც ისეთივე სულისკვეთებისაა, როგორც ქართველობა, ერთ დროს ისიც ისევე ამაყობდა საქართველოთი, როგორც პრეზიდენტი ლაპარაკობს. დღეს კი სინანული სდევს. ამიტომ ეს ადამიანი, საქართველოს პრეზიდენტი, უმალ ახლობელი, უმალ ძვირფასი გახდა მისთვის. მასში დაინახა საქართველოს კვლავაც ფეხზე დადგომის, ძლიერების რეალობა. ხალხს იმედი ჩაესახა. ხალხში ვიღაცამ რომ შესძახა „გაუმარჯოს ახალ დავით აღმაშენებელს, ახალ დავით აღმაშენებელს გაუმარჯოს, ხალხნო!“ არ დავმალავ, გაღიზიანების გრძნობა დამეუფლა, რა აჩქარებული კაცია, დაუფიქრებლად გაიძახის-მეთქი, მაგრამ მერეღა მივხვდი, იმ ემოციურმა კაცმა თავის იმედს შეუძახა და სწორედ იმ სახელს მოუხმო, რომელიც ამ წუთში, აი, ამ იმედიანობის ჟამს მის სულს სალბუნად ედებოდა, იმედის რეალობად ქცევის შანსს უქმნიდა.

დავითის კოშკში შეხვედრა რომ გასრულდა, ვიღაცა გადამეხვია, გადამკოცნა და მეუბნება:

– ჰა, კარგი, ძალიან კარგი პრეზიდენტი ჰყოლია საქართველოს!

იმავე ღამეს თბილისში გამოვფრინდით. ჩვენი თვითმფრინავი ქართულ მიწაზე გამთენიის ხანს დაეშვა.

იმ საღამოს საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე „იმედის“ არხზე ინგა გრიგოლიას „ჯვარედინ შეკითხვებს“ პასუხობდა. დასასრულს ბატონმა ედუარდმა თქვა:

– საქართველოს კარგი, ძალიან კარგი პრეზიდენტი ჰყავს.

და მე ამ კაცის – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის – მიმართ კიდევ ერთხელ განვიმსჭვალე პატივისცემის გრძნობით. მან თავისი მეგობრების, დამფასებლების კეთილგანწყობაც მიხეილ სააკაშვილს გადაულოცა – სინამდვილეს ზურგი კი არ აქცია, კი არ დაეუბრა, პირიქით – მიიღო, გაიზიარა და ჩვენ იმედად დაგვიბრუნა.

მომკალით და, ასე მგონია, ყოფილი პრეზიდენტის ეს ექვსი სიტყვა საქართველოს ერთიანობისთვის ათასგზის მეტს გააკეთებს, ვიდრე შეთანხმებათა, მემორანდუმთა ექვსი ტომი.

შენების ჟამიც ამას მოჰყავს – ერთიანობას.

**გურამ ბათიაშვილი.**

**სურათზე: ჯვრის მონასტერი. ეფრაიმ გური და გურამ ბათიაშვილი შოთა რუსთაველის ფრესკასთან.**

(გაგრძელება იქნება)

თბილისობა – 2004









# რეპეტიცია – დღესასწაული

(პირველი გვერდიდან)

ალბათ ამიტომაც, კვირა დილით, საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ერთობლივი ღონისძიება მოაწყო, — მერიის შენობის წინ რუსეთის, თურქეთის, უკრაინის, იტალიის, ლატვიის, საფრანგეთის, ირანის საელჩოებმა და ყაზახეთისა და ევროკომისიის წარმომადგენლებმა სპეციალური გამოფენა მოაწყვეს. სპეციალურად დამზადებულ დახლებზე (საბაზრო ეკონომიკაა, მა, როგორ გინდათ!) თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ნივთები და ბუკლეტები იყო წარმოდგენილი. მხიარული განწყობილების შესაქმნელად კი, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა ბავშვებმა თავიანთი ქვეყნების ფოლკლორის ნიმუშები წარმოადგინეს და არნახული ტაშ-ფანდური გამართეს. რუსეთის საელჩომ კი, თბილისობის აღსანიშნავად რესტორან „მატრიოშკას“ მოცეკვავეები მოიწვია, რომლებმაც ბოშური და რუსული ეროვნული ცეკვები შეასრულეს.

ჩვენ „მოგვერიდა“, უცხოელმა დიპლომატებმა კი პატარა სახალხო ზეიმი მოგვიწყვეს. რა კარგი იქნებოდა, რომ 25 წლის განმავლობაში თბილისობის დღესასწაულის ეპიცენტრში — რიყეზე წლეულსაც გამართულიყო უნიკალური ქართული ხალხური ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების გამოსვლა. აშკარაა, ზედმეტმა თავმდაბლობამ აქაც დაგვაზარალა.

საოცარი მშვენიერება იყო პირველი კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სკოლის ფერიების კონცერტი მშობლიური სასწავლებლის წინ, „იმედის“ ბაღში... კმაყოფილი ჩანდა თვით მაკა მახარაძეც, რომელმაც გულწრფელად თქვა: არ მეგონა თუ ასე თავისუფლად, კარგად იცეკვებდნენ, ამინდმაც ხელი შეგვიწყო, მაგრამ ცოტა მაყურებელი გვყავდაო...

მხოლოდ მშობლები და შემთხვევით გამვლელ-გამომვლელნი შეესწრნენ „ბასტი-ბუბუს“ ულამაზეს კონცერტს ვაკის პარკშიც.

გუდიაშვილის ქუჩაზე ორი დღე თითქმის არ შეჩერებული მძლავრი დინამიკების ხმა, ევროპული მუსიკის ჰანგები! წლებით და ფიქრებით მხრებდამძიმებულ ხალხს, აქაც მილი მოერია. საოცარი სანახავი იყო პატარა ბიჭუნა, რომელმაც მამის მკერდში იპოვა მყუდრო ადგილი...

12 წლის წინათ გადამწვარი მხატვრის სახლის მინდვრად ქცეულ ტერიტორიაზე კერამიკოსები თავიანთ ხელოვნებას აჩვენებდნენ თბილისელებს... ჩვენს თვალწინ „მეჭურჭლეთუხუცესმა“ ნატო ერისთავმა და მისმა მეგობრებმა გამოაღეს ღუმელის კარი და წითლად გავარვარებული საყავე ჭურჭელი ფრთხილად ჩააწყვეს ნახერხით, გამხმარი ფოთლებით სავსე კასრში. რამდენიმე წუთში მნახველთა თვალწინ საოცრად ლამაზი ჭურჭელი დაიბადა.

... ქუჩების გადაკეტვას მაინც ვერ ავცდით. შაბათს, გვიან საღამოს გადაიკეტა მეტეხის ხიდი, სადაც სახელდახელო პოდიუმი და მოდის ჩვენება მოეწყო.

თანამედროვე კინტოებმა და მელექსეებმა ერთი საათით დაამშვენეს ღვინის აღმართი. შარდენის და რკინის რიგის ქუჩებზე კი, რადგანაც იქ ტრანსპორტი საერთოდ ვერ მოძრაობს, მოზეიმეები თავისუფლად დანავარდობდნენ. სხვათა შორის, შაბათს, დღის პირველ საათზე, აქ აღინიშნა თბილისობა-2004-ის საზეიმო გახსნაც. ცაში „აიჭრა“ ასობით მწვანე საჰაერო ბურთი.

იხ. მე-8 გვ.













SIC!

# ექიმებმა, „ღია ჭიპები“ დამალეთო!



**თბილისისა და არა მხოლოდ დედაქალაქის ახალგაზრდებში დამკვიდრებულმა „ღია ჭიპების“ უხერხულმა და ულამაზო მოდამ საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. კუტიურების მიერ გოგონებისთვის შეთავაზებული მოკლე, ფერადი და მოტმასნილი მაისურები წლევანდელი ზაფხულის „ჰიტად“ იქცა. მოდის თავკაცებმა კარგად იციან თავისი საქმე, მაგრამ დღეს ამ თემას არ შევეხებით. ჩვენთვის ის უფრო თავსატეხია, იმ მშობლებმა თუ იციან, რომ მათი შვილები შემოდგომის სუსხის მიუხედავად, თბილი მოსაცმელის ქვეშ კვლავ გაშიშვლებული წელით დადიან.**

ჯანმრთელობის ნებაყოფლობით უარყოფას და შემდგომში ისედაც დაქვეითებული ქართული გენოფონდის განადგურების შიშით აღშფოთებას აღარ მალავენ ექიმები. უპირველესად კი, რასაკვირველია, ის ექიმები, რომელთა შრომაც გამეცადინებულია ქართველი ერის გასამრავლებლად. როგორც ირკვევა, არც ისე მაგრები ყოფილან ახირებული „მოდისტები“. პროფ. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტში, ექიმების კართან, მოზრდილ რიგებში ისინი მოთმინებით ელიან ანალიზის პასუხებსა და გინეკოლოგების, სამწუხაროდ, უკვე არა რჩევა-დარიგებებს, არამედ მედიკამენტების გაუთავებელ სიას ახალგაზრდა სხეულში დამკვიდრებული დაავადებების „დასაბომბად“.

აი, რა გვითხრა ქალბატონმა ციანა ნაზარიშვილმა, ჟორდანიას ინსტიტუტის გამოცდილმა და ცნობილმა ექიმმა-გინეკოლოგმა:

— დავიწყებ იმით, რომ ყოველივე ეს ესთეტიკის თვალსაზრისით მეტისმეტად ულამაზოა, რადგან აჩენ სხეულის იმ ნაწილს, რომელიც არ უნდა ჩანდეს. ამას გარდა, მედიცინის თვალსაზრისით, დაუშვებელია მოშიშვლდეს ის ადგილი, რომელიც ახლოა ქალის სასქესო ორგანოებთან, რაც გაციების გამო ხშირად იწვევს ანთებით პროცესებს, მომავალში უშვილობასა და სხვა მრავალ უსიამოვნო დისკომფორტს სხეულში. უმარტივესია, რომ ერთი ორგანოს ანთებას სხვადასხვა სახის გართულებები მოსდევს. ამას ჩვენი გამოცდილების საფუძველზე ვამბობთ, ხშირად გვაკითხავენ გოგონები ზემოხსენებული ჩივილებით. ცნობილია, ჩვენს ინსტიტუტს განსაკუთრებული პროფილი აქვს – იგი უშვილო წყვილთა კონტინგენტს ემსახურება. ამიტომ ვიტოვებთ მე და ჩემი კოლეგები უფლებას სათანადო რჩევა-დარიგებისთვის.

**ია კალანდარიშვილი.**

### ლოკოკინებს დასაძინებლად გაუშვებენ... კოსმოსში

**მზიურ** საქართველოში შეგროვებულ 50-მდე ვაზის ლოკოკინას მოსკოველი მეცნიერები უპირებენ კოსმოსურ მოგზაურობაში გაშვებას. მათი მთავარი ამოცანაა შეისწავლონ ლოკოკინების წონასწორობის ორგანოს მოქმედება უწონობის პირობებში.

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტს აცნობეს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „სამედიცინო-ბიოლოგიურ პრობლემათა ინსტიტუტში“, გასულ წლებში ინსტიტუტის სპეციალისტებმა უკვე გაგზავნეს ლოკოკინები კოსმოსში რეგენერაციის უნარის შესწავლის მიზნით, კერძოდ, ლოკოკინებს ჯერ კიდევ დედამიწაზე დააჭრეს თვალები, რომლებიც მათ ხელახლა ამოუვიდათ ორბიტაზე ყოფნისას.

ახალი ექსპერიმენტი არ საჭიროებს არანაირ წინასწარ ოპერაციებს. ლოკოკინებს, უბრალოდ, ჩასვამენ დახურულ კონტეინერებში და გაგზავნიან საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში. იქ მათ წყლისა და საკვების გარეშე უნდა გაძლონ რამდენიმე თვეს. ლოკოკინები მიეცემიან ღრმა ძილს.

შემდეგ, დედამიწაზე დაბრუნებისას, თითქმის ყველა ლოკოკინას დახოცავენ, რათა დააკვირდნენ მათი წონასწორობის ორგანოებს და ნახონ, თუ რა ცვლილებები მოხდა კოსმოსში ფრენის დროს.

ლოკოკინების პირველი პარტიის გაშვებას კოსმოსში გეგმავენ უკვე მიმდინარე წლის დამლევისთვის.

### ფული ვინ დაკარგა?

**კალიფორნიაში** უკვე რამდენიმე ათეული წელია მუშაობს უნიკალური „ნაპოვნი ნივთების მაგიდა“. იქ ინახება ფული, რომელსაც არავინ არ აკითხავს წასაღებად. მაგალითად, Tribune კომპანიამ 6 ათასი დოლარი გადარიცხა თავისი ერთ-ერთი თანამშრომლის ანგარიშზე, მან კი აღარ წაიღო ფული. ახლა დოლარები ინახება „ნაპოვნი ნივთების მაგიდაში“ და ელის პატრონს. ხშირად ფული ვერ აღწევდა მსოფლიოში ცნობილ ადამიანებამდე. მაგალითად, „უორნერ ბრაზერსის“ სტუდიის მიერ გადარიცხული 180 დოლარი ვერ მიიღო მსახიობმა ჯორჯ კლუნიმ, 690 – რეჟისორმა რონ ჰოვარდმა, 5378 – სილვესტერ სტალონემ და 131 – მწერალმა რეი ბრედბერიმ. სტუდია „არისტა რეკორდსმა“ კი, როგორც გაირკვა, თავის დროზე ვერ შეძლო ეპოვა სტივ უანდერი და გადაეხადა მისთვის 939 დოლარი. ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ჯერ არავის გახსენებია – 370 ათას დოლარს შეადგენს.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სასჯელაღსრულების ორგანოების მოსამსახურეთა სამსახურებრივი ფორმების შესყიდვაზე

**შესყიდვის ობიექტებია:**

დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| ლოტი № 1 | სამსახურებრივი დანიშნულების ფორმები | 600 ცალი | სასჯელაღსრულების დეპარტაენტის საწყობი ქ. თბილისი ჟორესია ქ. № 10 | 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე |
| ლოტი № 2 | ზამთრის თბილი ქურთუკი | 1000 ცალი | სასჯელაღსრულების დეპარტაენტის საწყობი ქ. თბილისი ჟორესია ქ. № 10 | 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე |
| ლოტი № 3 | მაღალყელიანი ფეხსაცმელი | 1000 ცალი | სასჯელაღსრულების დეპარტაენტის საწყობი ქ. თბილისი ჟორესია ქ. № 10 | 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე |
| ლოტი № 4 | ხელთათმანი (შალის ნაქსოვი) | 1000 ცალი | სასჯელაღსრულების დეპარტაენტის საწყობი ქ. თბილისი ჟორესია ქ. № 10 | 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2004 წ. 11 ნოემბრიდან 12 ნოემბრის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: **თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი № 30, ოთახი № 62ა ტელ 758335.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისთვის:**

1. ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

**ფიზიკური პირებისთვის:**

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზ. № 30, ოთახი № 62ა ქართულ ენაზე, **2004 წლის 16 ნოემბრიდან 17 ნოემბრის 18⁰⁰ საათამდე. სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**საქ. იუსტიციის სამინისტრო კოდი 117 ა/ა № 000141408, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, საიდენტიფიკაციო კოდი 203845349. სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.).**

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მისაწოდებელი ფორმების ნიმუშები შესრულებული, ტენდერში მონაწილის მიერ. დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა. ერთ ლოტზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები თითოეულ ლოტზე წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – **გოჩა ბიკაშვილი, ტელეფონის ნომერი – 758335, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი № 62ა**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

დებულება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“;

საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერტიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

⊙ დასკვნა შენც გამოიტანე

# წუთისოფელი მართლაც ჭრელია

## წიხლი საზარდულში, ქალებო!

**ცუდი დღე ადგათ კორუმპირებულ ჩინოსნებს, იჭერენ, ასი ათასებს, მილიონებს ადებინებენ, ხაზინას ავსებენ. ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად თანხებს აგროვებენ, მაგრამ... ეს კეთილდღეობა სხვა კუთხით მწარდება: — მსხვილი ქურდობა იფცქვნება, წვრილი კი, პირიქით, მდიდრდება და ამის ხარჯზე, უპირველესად, ხალხი ზარალდება.**



ცნობა ერთობ შემაშფოთებელია: 2003 წლის 9 თვეში თბილისში აღირიცხა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის 1289 შემთხვევა, 2004 წლის 9 თვეში კი 2805 (მატება — 1516). შარშან გაიხსნა ამ დანაშაულის 71 პროცენტი, წლეულს კი... 23 პროცენტი. ანალოგიური ვითარებაა ქვეყანაშიც. შარშან გვქონდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის 3656 ფაქტი, წლევანდელ შესაბამის პერიოდში კი — 6725 (მატება — 3069). შარშან გაიხსნა ამ დანაშაულის თითქმის 67 პროცენტი, წლეულს კი... თითქმის 33 პროცენტი.

კომუნისტების პერიოდშიც და დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ხანებშიც ბევრი სამართალდამცავებს აკრიტიკებდა დანაშაულის გახსნის ერთობ მაღალი პროცენტის გამო. რა თავს ვიწონებთ 85 და 95 პროცენტით, ნახეთ, ევროპაშიც და ამერიკაშიც ეს მაჩვენებელი 45, ხანაც 55 პროცენტს არ აღემატებაო. მოდით, ყველამ თავისი მკვდარი იტიროს. რას მარგებს მე ამერიკა და ევროპა, თუკი დანაშაული ქვეყანაში გაორმაგდება, გახსნის პროცენტი კი სამჯერ შემცირდება?

22 ოქტომბერს სახელმწიფო (თუ სახალხო) ტელევიზიის პირველ არხზე, პროგრამა „ალიონში" ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი ზურაბ მიქაძე. პირველმა სავარჯიშო დარბაზებში მიიწვია ჩვენი გოგონები, ქალები, რომლებმაც სპეციალური ილეთები უნდა შეისწავლონ (თითი — თვალში, მუშტი — ცხვირში და წიხლი — საზარდულში) ქუჩაში თავდასხმის დროს ყაჩაღის მოსაგერიებლად. მეორემ კი აუღელვებლად დაგვამშვიდა, — არაფერია საგანგაშო, ჩვენთან კრიმინოგენური სიტუაცია სტაბილურიაო, დანაშაულის კლება მიდის და მოკლე ხანში უკეთესობა იქნებაო. და თუ მაინც რაღაც მოხდა, დარეკეთ 022-ზე და 3-4 წუთში პატრული თქვენთან გაჩნდებაო. საკითხავია, დაგვარეკინებენ კი ამ 022-ზე, როცა ბინასაც და ჩანთასაც პირწმინდად ასუფთავებენ, პურის ფულსაც აღარ გვიტოვებენ და, უპირველესად, მობილურს გვტაცებენ?

ახლახანს დააკავეს პოლიციის რამდენიმე მუშაკი... ადამიანთა ტყუილად დაპატიმრების — ნარკოტიკების თუ იარაღის ჩადების გამო. რა გამოდის? უდანაშაულო ხალხს ვიჭერთ, ნამდვილ დამნაშავეებს კი — სუფთა ჰაერზე ვასეირნებთ. არადა, პროფესიონალიზმიო, მუნდირიო...

ვიცით, პოლიციამ ბოლო ხანს ბევრი რამ გადაიტანა, იომა, ქვეყნის ღირსება დაიცვა, პარალელურად, რეფორმას შეეჭიდა, ბევრი თავისიანი დაითხოვა, რაოდენობრივად შეთხელდა, მაგრამ ტვირთი ისევ ძველებურად დარჩა. და ეს ტვირთი უნდა ზიდოს!

## ფრთები შეიკვეცეთ, მტრედებო!

**პატიოსანმა ადამიანებმა მტრედი საყოველთაოდ აღიარეს მშვიდობის სიმბოლოდ. ბოროტმოქმედებმა კი იგი შეიძლება, სამუდამოდ აქციონ სიკვდილის მატარებლად!**

ლაპარაკია საფოსტო მტრედზე. იგი საუკუნეთა მანძილზე სპეციალისტებმა „შექმნეს" ორიენტირების შესაშური უნარით. საათში დაახლოებით 60 კილომეტრის სიჩქარით მიფრინავს და ცალმხრივი კავშირის დროს 1000 კილომეტრის დაფარვა შეუძლია.

კარგა ხანია ენციკლოპედიები მიუთითებენ, — საფოსტო მტრედმა დრო მოჭამა, მას სადღეისოდ აღარა აქვს პრაქტიკული დანიშნულება და ამრავლებენ მხოლოდ და მხოლოდ სპორტული მიზნებისთვისო. რასა ბრძანებთ! თურმე ეშმაკს არა სძინავს...

ამას წინათ საფრანგეთის პარლამენტმა საგანგებოდ იმსჯელა საფოსტო მტრედზე. განგაშის ზარი შემოჰკრა ამ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. ცუდადაა საქმე, უწმინდურებმა ბინძურ ამბებში გახვიეს ეს საყვარელი ფრინველი, მიჰყავთ იგი სახელმწიფოდან სახელ-



მწიფოში, ბაზრიდან ბაზარში და... შემდეგ შინ ატანენ ნარკოტიკულ ნივთიერებებსო.

საფრანგეთში უდიდეს პატივსა სცემენ საფოსტო მტრედებს. ერთ-ერთი მტრედი ომის დროს, საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებისთვის, „საპატიო ლეგიონის" ორდენითაც კი დააჯილდოვეს. ახლა კი... საფოსტო მტრედებსაც და მათს პატრონებსაც პოლიციაში იბარებენ, ისინი სპეციალურ აღრიცხვაზე აჰყავთ. სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ვინ იცის, რა მოხდება ხვალ.

პოლიციას ახალი საზრუნავი გაუჩნდა. დაახლოებით 30 ათასი კაცი აშენებს საფრანგეთში საფოსტო მტრედებს. ზოგს 10-12 ასეთი მტრედი ჰყავს. რეგისტრაციას ყველა გადის, უკლებლივ! ფერებისა და ლოლიავის დრო იწურება, ნდობის და გაგების ჟამი ილევა...

დამნაშავეთა სამყარო ძალზე სწრაფად ავრცელებს ინფორმაციას, იოლად ითავისებს ავაზაკურ ხერხებსა და მეთოდებს. ცუდის მიბაძვა-გადმოღებაში ქართველებს ვინ შეედრება. ჩვენი ნარკომანები მტრედებსაც გამოიყენებენ სათავისოდ და მტრედის ხუნდებსაც. იმათ კი ვინ აღრიცხავს, ადამიანები ვერ დაგვითვლია ხეირიანად. ჰოდა, პოლიციელებო, იყავით ფხიზლად! ყველა ახალ დროს ახალი თავსატეხი მოაქვს. ბრძოლა მძაფრდება. დამნაშავეობა მრავალფეროვნდება და მაინც...

მშვიდობის სიმბოლო სიკვდილის სიმბოლოდ არ უნდა ვაქციოთ. მიწაზე გვიჭირს ადამიანებთან ბრძოლა, ცაში სად უნდა ვსდიოთ ფრინველებსო, — იტყვის ზოგი. გვესმის. ძნელი საქმეა, მაგრამ... რას ვიზამთ, — წაყრუება არ შეიძლება!

არ შეიძლება, რადგანაც ნარკომანია დღითი დღე ქსელს აფართოებს, მასში ახალ-ახალ „ძალებს" აბამს. ეს ფრანგებმაც ძალუმად იყნოსეს და ბრძოლის რადიკალურ ფორმებზე გადავიდნენ. პირველი დიდი ოპერაცია მოეწყო პარიზსა და მარსელში. ოპერაციას ერქვა „მარგარიტა". თუმცა, ამ მშვენიერმა სახელმა ბევრი უსიამოვნება შეჰყარა პოლიციასაც და შავ სამყაროსაც: დააპატიმრეს 60 კაცი, ამოიღეს 40 კილოგრამი „კოკაინი".

ცივილიზებული სამყარო შეძრწუნებულია ნარკომაფიის სითავხედით, გაოგნებულია მისი ფარული მოქმედებით. თვით ფრანგებმა აღიარეს, რომ ოპერაცია „მარგარიტა" მაინც უსუსურად ჩატარდა. დაკავებული პიროვნებებისა და ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეშია. ამიტომ სპეციალისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ „თეთრი სიკვდილის" გამავრცელებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციასთან ერთად აქტიურად ჩაებნენ სამხედროებიც, თავიანთი გამანადგურებლებითა თუ ბომბდამშენებით. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ცაში თვითმფრინავებისა და საფოსტო მტრედების ბრძოლაც იხილოთ.

რას ვიზამთ, დროს, სიკეთესთან ერთად, თურმე უამრავი სიბოროტეც მოაქვს. და მოაქვს ისევ ადამიანის მეოხებით, რომელმაც მტრედიც კი შავ სამყაროში ჩაითრია...

## აბა, დატრიალდით, ბიჭებო!

**მთელი მსოფლიო შეძრწუნებულია ოფიციალურ ქორწინებათა კლებით. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ ახალგაზრდების წასაქეზებლად. იაპონიაში, ინდოეთში, აშშ-ში, მაგალითად, ცხადდება მასობრივი ქორწინებები გარკვეული შეღავათებით. რუსეთში 4-5 სექტემბერს, მოსკოვის დღესასწაულიც (რომელიც ტერაქტებმა ჩაშალეს) იგეგმებოდა 400 წყვილის ერთდროული ქორწინებით და ნეფე-პატარძლის დასაჩუქრებით — მაცივრებით, ფოტოაპარატებით, ტელევიზორებით, საათებით, მაგნიტოფონებით... გარდა ამისა, ყველა წყვილი უფასოდ მიიღებდა ათობით ბოთლ ძვირფას შამპანურს.**



წლევანდელ თბილისობაზეც, სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ქორწილებიც. მარტო შაბათს ქალაქს შეემატა 38 ოჯახი. ათიოდ ქორწილი იყო კვირასაც, მაგრამ ჩვენ რაოდენობაც გვეცოტავება და... ყურადღებაც. იქნებ სხვა ქვეყნებივით ჩვენც დაგვესაჩუქრებინა ახალგაზრდები საყოფაცხოვრებო ტექნიკით თუ არა, ქართული სუვენირებით, თუნდაც ათობით ბოთლი ძვირფასი შამპანურით მაინც? ესეც დიდი შეღავათი იქნებოდა. ნურავის გაუკვირდება და, დღეს ბიჭების უმრავლესობა ცოლს სწორედაც ხელმოკლეობის გამო არ ირთავს. ასეთ დროს პატარა წახმარებაც დიდი სტიმულია!

**ბონდო გულიაშვილი.**

⊙ ეროვნული ჩემპიონატი

# „თბილისობა" ავლაბარში

**უცნაური ტრადიცია მკვიდრდება თბილისის „დინამოში": ევროტურნირის რომელიმე ეტაპის წინ ან შემდეგ ქართული ფეხბურთის სიამაყე ეროვნული ჩემპიონატის მატჩს დიდი ანგარიშით აგებს. გასაგებია, რომ გათამაშების სატურნირო ცხრილში შექმნილი ქულათა მარაგი, ტრავმების ეპიდემია თუ ძალების აღდგენის საკითხი თავისას მოითხოვს, მაგრამ პრესტიჟიც ხომ არსებობს?**

ფუჭი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, შეგახსენებთ, რომ „ვისლასთან" ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ გია გეგუჩაძის გუნდმა სამარქაფო შემადგენლობით ზღვისპირეთში „ბათუმთან" ჩაისეირნა — 0:3, გუშინ კი, „სოშოსგან" მიღებული ფრანგული გაკვეთილის შემდეგ, „ოლიმპის" სტადიონზე „თბილისთან" ეროვნული ჩემპიონატების განმავლობაში ანტირეკორდი დაამყარა — 0:5 (აქამდე იყო 1:5 „კოლხეთისგან" და 2:5 „ვიტ ჯორჯიასაგან"). გოლები გამოჯანმრთელებულ ზოიძეს მიქაძემ, ორბელაძემ, ფიფიამ, გეწაძემ და კალაძემ გაუტანეს, ბოლო წუთზე კი დევაძემ კოლეგასთან საპენალტო დუელი წააგო.

მართალია, დამარცხებულებს ლაზარეთის მთელ რიგ პაციენტებთან ერთად ნემსაძე აკლდათ, მაგრამ კადრების მხრივ არც ავლაბრელებს ულხინდათ (იაშვილი და აფციაური საერთოდ არ იყვნენ განაცხადში, ხოლო ჭელიძე მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა), ასე რომ, უკვე კანონზომიერად ქცეული მორიგი ჩავარდნის მიზეზები, ეტყობა, უფრო ღრმადაა საძებნი. დავძენთ, რომ პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა მერაბ მალაღურაძემ წითელი ბარათი მიქაძესა და გიგაურს უსახსოვრა.

XVI ეროვნული ჩემპიონატის XII ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „სიონი" — „ბათუმი" 1:0, „ტორპედო" — „კოლხეთი" 1:1, „ლოკომოტივი" — „ზესტაფონი" 1:2 (ეს გახლდათ სტუმართა ახალი თავკაცის **თემურ მახარაძის** სადებიუტო თამაში), „ვიტ ჯორჯია" — „დილა" 2:0.

„დინამო" — 26, „თბილისი", „ტორპედო" — 23-23, „ბათუმი" — 21, „ლოკომოტივი", „ვიტ ჯორჯია" — 20-20, „სიონი", „ზესტაფონი" — 10-10, „კოლხეთი" — 8, „დილა" — 7 ქულა.

30 ოქტომბერს XIII (!) ტურში ითამაშებენ: „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია", „დილა" — „თბილისი", „დინამო" — „ტორპედო", „სიონი" — „ლოკომოტივი" და „კოლხეთი" — „ზესტაფონი".

⊙ მისაბაძი წამოწყება

# ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!

**გლდანულის დასახლებაში ერთადერთია 59-ე საშუალო სკოლა, რომელშიც 1200 მოსწავლე სწავლობს. მის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრიალი მინდორი იყო, რომელსაც აქაური მცხოვრებლები ნაგავსაყრელად იყენებდნენ.**

2001 წლის დასაწყისში ამ პატარა მოედნის რეკონსტრუქციას ხელი მოჰკიდა „ავაზის" ყოფილმა აღმზრდელმა, მასწავლებელმა **თენგიზ გელაძემ.** მიკრორაიონის ტერიტორიაზე მან რამდენიმე შაბათობა მოაწყო, რომელშიც აქაური ბავშვების მშობლებიც ჩააბა.



70 მეტრის სიგრძის მოედანი მთლიანად გაწმინდეს ქვა-ღორღისა და ნაგვისგან. მალე გამოჩნდა ტექნიკაც — გრეიდერმა მოასწორა მომავალი სტადიონის ტერიტორია, 30-მა თვითმცლელმა მიწა შემოიტანა, გადასწორდა სათამაშო მოედანი, შეიძინეს საფეხბურთო კარები, რომელსაც უკვე ბადეებიც ამშვენებს. ამ პატარა სპორტულ მოედანზე დღეს 1992 წელს დაბადებული 70-ზე მეტი ბავშვი ეუფლება ფეხბურთს.

— სტადიონის მთავარი პრობლემა, — გვეუბნება ენთუზიასტი მწვრთნელი თენგიზ გელაძე, — ისაა, რომ იგი შეუღობავია, რაც დიდ პრობლემას გვიქმნის. ამის გამო აქ შეუძლებელია ელემენტარული საწვრთნელი ვარჯიში. ორმხრივი მატჩის გამართვაზე ხომ ზედმეტია საუბარი. მოედანზე კვლავ დასეირნობს ნახირი, უბნის მცხოვრებლებს მსუბუქი ავტომანქანების სასწავლო პოლიგონად აქვთ გადაქცეული.

იმედია, ენთუზიასტი მწვრთნელისა და აქაური მოსახლეობის მისაბაძ წამოწყებას მხარს დაუჭერენ ყველანი, ვისაც ეს ევალება, რამეთუ მოსახლეობას შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

**შალვა ქირია.**

**სურათზე: მწვრთნელი თენგიზ გელაძე აღსაზრდელებთან.**

**რობერ ბაგოიანის ფოტო.**

⊙ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. VII ტური.** „ატალანტა" — „კალიარი- 2:2, „სიენა" — „იუვენტუსი" 0:3, „რომა" — „პალერმო" 1:1, „პარმა" — „ლაციო" 3:1, „მესინა" — „ლეჩე" 1:4, „უდინეზე" — „ფიორენტინა" 2:2, „კიევო" — „რეჯინა" 0:0, „სამპდორია" — „ბრეშია" 0:1, „ლივორნო" — „ბოლონია" 1:0, „მილანი" — „ინტერი" 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი" — 19, „ლეჩე", „მილანი" — 14:14 ქულა.

**ბომბარდირი:** მონტელა („რომა") — 6 გოლი.

**ხვალ ითამაშებენ:** „მილანი" — „ატალანტა", „რეჯინა" — „ფიორენტინა", „ლეჩე" — „ინტერი", „პალერმო" — „ლივორნო", „ლაციო" — „მესინა", „კალიარი" — „პარმა", „ბრეშია" — „სიენა", „კიევო" — „სამპდორია", „ბოლონია" — „უდინეზე".

**ზეგ ითამაშებენ:** „იუვენტუსი" — „რომა".

**ესპანეთი. VIII ტური.** „რეალი" — „ვალენსია" 1:0, „მალაგა" — „დეპორტივო" 1:1, „რასინგი" — „სარაგოსა" 1:0, „სოსიედადი" — „მალიორკა" 2:1, „ვილიარეალი" — „ნუმანსია" 4:0, „ლევანტე" — „ესპანიოლი" 0:2, „ალბასეტე" — „ბილბაო" 1:0, „ხეტაფე" — „ბეტისი" 0:2, „სევილია" — „ატლეტიკო" 2:1, „ბარსელონა" — „ოსასუნა" 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" — 22, „სევილია" — 17, „ვალენსია" — 14 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა") — 7 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „ბილბაო" — „ბარსელონა", „ბეტისი" — „მალაგა", „დეპორტივო" — „ალბასეტე", „რეალი" — „ხეტაფე", „ესპანიოლი" — „ვილიარეალი", „ვალენსია" — „ატლეტიკო", „სარაგოსა" — „სევილია", „მალიორკა" — „რასინგი", „ოსასუნა" — „ლევანტე", „ნუმანსია" — „სოსიედადი".

**ინგლისი. X ტური.** „ასტონ ვილა" — „ფულჰემი" 2:0, „კრისტალ პალასი" — „ვესტ ბრომვიჩი" 3:0, „ლივერპული" — „ჩარლტონი" 2:0, „ჩელსი" — „ბლექბერნი" 4:0, „ტოტენჰემი" — „ბოლტონი" 1:2, „საუთჰემპტონი" — „ბირმინგემი" 0:0, „ნორვიჩი" — „ევერტონი" 2:3, „მიდლსბროო" — „პორტსმუთი" 1:1, „ნიუკასლი" — „სიტი" 4:3, „მანჩესტერი" — „არსენალი" 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი" — 25, „ჩელსი" — 23, „ევერტონი" — 22 ქულა.

**ბომბარდირი:** ანრი („არსენალი") — 8 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „ბირმინგემი" — „კრისტალ პალასი", „არსენალი" — „საუთჰემპტონი", „სიტი" — „ნორვიჩი", „ჩარლტონი" — „მიდლსბრო", „ევერტონი" — „ასტონ ვილა", „ფულჰემი" — „ტოტენჰემი", „ბოლტონი" — „ნიუკასლი", „პორტსმუთი" — „მანჩესტერი", „ბლექბერნი" — „ლივერპული", „ვესტ ბრომვიჩი" — „ჩელსი".

**გერმანია. IX ტური.** „კაიზერი" — „ლევერკუზენი" 0:0, „ბორუსია" — „ჰამბურგი" 0:2, „ბილეფელდი" — „ჰერტა" 1:0, „გლადბახი" — „ჰანოვერი" 0:2, „ვოლფსბურგი" — „ბოხუმი" 3:0, „ჰანზა" — „ბაიერნი" 0:2, „ვერდერი" — „ნიურნბერგი" 4:1, „შალკე" — „მაინცი" 2:1, „ფრაიბურგი" — „შტუტგარტი" 2:0 (ანგარიში **ალექსანდრე იაშვილმა** გახსნა).

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვოლფსბურგი" — 21, „შტუტგარტი" — 20, „ბაიერნი" — 17 ქულა.

**ბომბარდირი:** ნოივილი („გლადბახი") — 8 გოლი.

**დღეს ითამაშებენ:** „ბაიერნი" — „ვოლფსბურგი".

**ხვალ ითამაშებენ:** „ბოხუმი" — „გლადბახი", „ჰანოვერი" — „კაიზერი", „ჰერტა"— „ბორუსია", „მაინცი" — „ჰანზა", „ლევერკუზენი" — „ბილეფელდი", „ჰამბურგი" — „ფრაიბურგი", „შტუტგარტი" — „ვერდერი", „ნიურნბერგი" — „შალკე".

**საფრანგეთი: XI ტური**. „ისტრი" — „ლიონი" 0:0, „პსჟ" — „აიაჩო" 1:0, „სტრასბურგი" — „ნიცა" 3:1, „კაენი" — „ნანტი" 2:1, „რენი" — „მეცი" 3:1, „სენტ ეტიენი" — „ბორდო" 0:0, „მონაკო" — „ოსერი" 0:0, „ტულუზა" — „ლილი" 1:0, „ბასტია" — „სოშო" 1:1, „ლანსი" — „მარსელი" 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი" — 23, „ლილი" — 22, „ოსერი" — 20 ქულა.

**ბომბარდირი:** ფრეი („რენი") — 7 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „მარსელი" — „მონაკო", „ოსერი" — „პსჟ", „აიაჩო" — „ნანტი", „ბორდო" — „ლანსი", „ლილი" — „სენტ ეტიენი", „ლიონი" — „სტრასბურგი", „მეცი" — „ბასტია", „ნიცა" — „ისტრი", „რენი" — „კაენი", „სოშო" — „ტულუზა".

**უკრაინა.** X ტური. „შახტიორი" — „მეტალისტი" 0:1 (გოლი **ლაშა ჯაკობიამ** გაიტანა), „დინამო" (კიევი) — „ბორისფენი" 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შახტიორი" — 27, „დინამო" (კიევი) — 25 ქულა.

⊙ ბურთი და მოედანი

# მიშიკო მესხის პრიზზე

**„ავაზას" სტადიონზე (დირექტორი მამუკა მესხი) გაიმართა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი მარცხენა გარემარბის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მიშიკო მესხის (უმცროსი) ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც 1994-95 წლებში დაბადებულთა რვა ჭაბუკთა გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მოპაექრე კლუბები ორ საკვალიფიკაციო ჯგუფად დაყვეს.**

პირველ ჯგუფში საუკეთესოდ ითამაშეს „ავაზას" ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მთავარი პრიზისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს. ფინალში მათი მეტოქე გახლდათ დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდი. შეხვედრა ანგარიშით — 3:1 მოიგეს და მიშიკო მესხის გარდამავალი თასი დაისაკუთრეს ოლიმპიური მომზადების ცენტრის (მწვრთნელები გოგა ჩილაჩავა, ირაკლი თუმანიშვილი) სპორტსმენებმა, მესამე ადგილზე გავიდა „ედელვაისის" გუნდი.

**შოთა ბოკერია.**

**სურათზე: თასის მფლობელი — ოლიმპიური მომზადების ცენტრის ფეხბურთელთა გუნდი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



⊙ ჭიდაობა

# ერევანში გვასახელეს

**გახშირდა საერთაშორისო ტურნირები ერევანში, რომელსაც სომხეთის ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მართავს. ამჯერად იქ ჩატარდა თავისუფალი ჭიდაობისა და სომხური სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის — სამველ ზატიკიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომელშიც 140 ახალგაზრდა ფალავანი მონაწილეობდა.**

— ასპარეზობა, — გვითხრა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ჯონი ლორიამ, — ახალი წესებით გაიმართა, რომელსაც ფილა 2005 წლის პირველი იანვრიდან შეიყვანს ძალაში. ამ შეჯიბრებაზე კი ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელებმა ლევან მეტრეველმა (50 კგ) და ნიკოლოზ გაგნიძემ (84 კგ), გორელებმა — ცოტნე ბარამიძემ (66 კგ), ვალერი დვალიშვილმა (55 კგ), ნიკო ტლაშაძემ (74 კგ), აფხაზეთის წარმომადგენელმა მალხაზ ზარქუამ (60 კგ), ვერცხლის ჯილდო ხვდა გორელ ვასიკო ჩოხელს, ხოლო მისმა თანაქალაქელმა გიორგი ბალიაშვილმა (60 კგ) ბრინჯაოს მედალი მიიღო.

საერთაშორისო ასპარეზობის ჟიურიმ საუკეთესო ტექნიკური მოჭიდავისთვის განკუთვნილი პრიზით დააჯილდოვა ევროპის ჩემპონი თავისუფალ ჭიდაობაში კადეტთა შორის მალხაზ ზარქუა.



2005 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატს ლიტვა უმასპინძლებს, ხოლო ევროპის ახალგაზრდული პირველობა ბულგარეთში გაიმართება.

**შალვა ხოფერია.**

**სურათზე: პრიზის მფლობელი მალხაზ ზარქუა.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

⊙ კრიმინალი

## მძღოლების დამყაჩაღებლები დააკავეს

**თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ყაჩაღური დაჯგუფების 2 წევრი დანაშაულის ფაქტზე დააკავეს.**

როგორც "ინტერ-პრესს" ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს უფროსმა დავით იაშვილმა განუცხადა, დაკავებულები არიან ტაქსების მძღოლების დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი პირები გიორგი ნამსიკაშვილი და ბექა ჩაკვეტაძე.

მისივე თქმით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე ტაქსების მძღოლების დაყაჩაღების 3 ფაქტი გამოვლინდა.

## გენერალურმა დირექტორმა ორი ადამიანი დაჭრა

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "შუქნიშანი"-ს გენერალური დირექტორი ლევან მგალობლიშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ორი ადამიანის დაჭრის ბრალდებით იძებნება.**

როგორც "ინტერ-პრესს" მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა ირაკლი ბანძელაძემ განუცხადა, 22 ოქტომბერს, ახვლედიანის ქუჩაზე გზის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობისას, მგალობლიშვილმა, ურთიერთშელაპარაკებისას, ორი მუშა - ვანო გალახვარიძე და თემურ კირიაკოვი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ფეხში დაჭრა. ამის შემდეგ, იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

1. შპს „კოლაგის" მიერ „სამონადირეო მეურნეობა „კოლაგი" — შექმნისა და გაძღოლის პროგრამა".
2. შპს „ალაზნის ჭალას" მიერ „სამონადირეო მეურნეობა „ალაზნის ჭალა" — შექმნისა და გაძღოლის პროგრამა".
3. ინდივიდუალური მეწარმე „ბ. ხახულაშვილის" მიერ მარნეულის რაიონში „ხრამის ქვიშა-ხრეშის საბადოს თამარისის უბნის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის დამუშავების პროექტი".

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია **ა. წ. 9 დეკემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.**

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 9 დეკემბერს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოს დაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი **აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 2004 წლისთვის** შემდეგ სპეციალობებზე:

**1. მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა — 2 ადგილი;**

**2. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი — 3 ადგილი.**

განცხადება მიიღება 1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

**საკონტაქტო ტელეფონები: 60-30-07, 60-29-70.**

⊙ ჭრელაჭრულა

## გასრულდა „ფორმულა-1"

**„მშობლიური კედლებიც" კი ვერ დაეხმარა რუბენს ბარიკელოს, რათა ახლა მაინც მოეგო „ბრაზილიის გრან-პრი". მთელი ბრაზილია ელოდა ამ გამარჯვებას, მაგრამ ამაოდ: „ინტერაგოსის" ავტოდრომზე ფინიშთან პირველი მივიდა მეორე სამხრეთ-ამერიკელი ხუან პაბლო მონტოია, მაგრამ „ფერარის" საჯინიბოდან კი არა, არამედ „უილიამსიდან". ბრაზილიელმა მაინც მოახერხა პოდიუმზე ასვლა, თუმცა მხოლოდ მის მესამე საფეხურზე, მეორეზე კიმი რიაიკენენმა ასწრო „მაკლარენადან".**

მეთვრამეტე, ბრაზილიური ეტაპით დასრულდა ასე პოპულარული ავტორბოლის 55-ე მსოფლიო ჩემპიონატი. ყველაფერი გაირკვა და დალაგდა. მართალია, მიხაელ შუმახერმა („ფერარი") ვადაზე ადრე 148 ქულით მოიპოვა მეჩვიდმეტე ჩემპიონობა და თითქმის გადაწყვეტილი იყო მეორე ადგილის ბედიც — ის ლიდერის თანაგუნდელმა რუბენს ბარიკელომ გაინაღდა 114 ქულით. საბოლოო ანგარიშით არც ბრიტანელ ჯენსონ ბატონს („ბარი") გამოუჩნდა განსაკუთრებული მეტოქე და მან 85 ქულით მესამე ადგილი დაისაკუთრა.

შემდეგ მოდიან ფერნანდო ალონსო („რენო" — 59 ქულა), ხუან პაბლო მონტოია („უილიამსი" — 58), იარნო ტრული („რენო" — 46), კიმი რიაიკენენი („მაკლარენი" — 45) და ა. შ.

შეიძლება ითქვას, ოცნებითაც კი ვერავინ შეძლო წინგაჭრილ „ფერართან" კონსტრუქტორთა თასზე გაპაექრება. მან 262 ქულით დამაჯერებელი გამარჯვება მოიხვეჭა. მეორე ადგილზე 119 ქულით „ბარია", მესამეზე კი „რენო" — 105.

ასე რომ, 2004 წლის სეზონი გასრულდა. „დიდი ცირკი", როგორც ამ პოპულარულ ავტორბოლას უწოდებენ, ზამთრის არდადეგებზე წავიდა, თუმცა საგამოცდო დავალებით — 2006 წლიდან „ფორმულა-1"-ის ბოლიდების ძრავების სიმძლავრის „სეკვესტრს" აპირებენ, რაც, ბუნებრივია, მათ სიჩქარესაც შეამცირებს.



## გაანადგურეს მეტროს სადგური

**ჯერ „ეპოქის მატჩი" — „ზენიტი" — ცსკა — არ გამართულიყო, რომ კვირას არმიელთა გულშემატკივრებმა პეტერბურგის მეტრო დაარბიეს.**

არმიელთა რამდენიმე ათეული მოსკოველი გულშემატკივარი იქ კვირას, დუბლიორთა მატჩზე დასასწრებად ჩავიდა. მეტროს სადგურში „ლენინის მოედანი" მათ შუშხუნები და ბოლის კოჭები ააფეთქეს. კვამლით გავსებული მეტროს სადგური ნახევარი საათით დაკეტეს, მატარებლებს კი იქ არ აჩერებდნენ.

ამას გარდა, ფანატებმა დაამსხვრიეს განათების რამდენიმე პლაფონი. შემდეგ კი არასანქცირებული მსვლელობა მოაწყვეს მეტროს სადგურიდან „ლენინის მოედანი" ბოტანიკური ქუჩით სატყეო პროსპექტამდე.

გულშემატკივართა დიდ მასას მოსკოვიდან გუშინწინ დილის მატარებლებით ელოდნენ პეტერბურგში. მოსკოვის ვაგზალზე მილიციის გაძლიერებული რაზმები მორიგეობდნენ. სულ ჩრდილოეთის დედაქალაქში სამი ათასამდე მოსკოველ გულშემატკივარს ელოდნენ. სტადიონზე წესრიგს მილიციის სამი ათასზე მეტი თანამშრომელი იცავდა. ტრიბუნებზე კი უწესრიგობის წამომწყებთა გამოსავლენად გადაცმული თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

„ზენიტი" — ცსკას მატჩს „გაძლიერებული რისკის" თამაშად მიიჩნევენ. პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა ფრედ — 3:3.

## სამჯერ ნოკდაუნში

**კრივის ამომავალმა ვარსკვლავმა მსუბუქ წონაში (61,2 კილოგრამამდე) მექსიკელმა ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსმა ზედიზედ მე-12 გამარჯვება მოიპოვა.**

ამჯერად მან ტექნიკური ნოკაუტით პირველსავე რაუნდში დაამარცხა ამერიკელი მაიკ უოკერი, რომელიც, სანამ მსაჯები ბრძოლას შეწყვეტდნენ, სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში.

**სპორტის რედაქცია**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს ფოტო გადაღებულია 1989 წელს. მარცხნიდან ოთარ ბრეგვაძე, დურმიშხან ცინცაძე, ბორის ლომაია, რომან კოპლატაძე.

მოგვაწოდა რეზო ნიკოლეიშვილმა.

## გიხაროდენ!

### ლევანი, თამარი, მზეხა!..



**— ჩემი ტყუპი გოგონები თამარი და მზეხა უკვე 4 წლისანი არიან. ოჯახი ბიჭს ნატრობდა. ამ ორი კვირის წინ ჩემმა მეუღლემ ბიჭის მამაც გამხადა. ელენემ მე-4 სამშობიარო სახლში მოილოგინა. კმაყოფილია სამედიცინო პერსონალის მომსახურებისა. გოგონების შეძენა ადრე თქვენმა გაზეთმა მომილოცა, ახლა ვაჟის შეძენას გატყობინებთ. ასე, რომ უკვე სამი შვილის მამა ვარ!**

სახლში სამი თოთო ძნელი გასაზრდელია, მაგრამ დედაჩემი და სიდედრიც გვეხმარებიან და არ გაგვიჭირდება.

ლევანი, თამარი და მზეხა! — ჩემი ოჯახის ბედნიერებაც ეს არის! — გვითხრა გუშინ რედაქციაში თბილისის ვარკეთილის დასახლებიდან მოსულმა ომარ ტაბუციძემ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ქალბატონო, თქვენი სარეცხის მანქანა სარემონტოდ უნდა წავიღო.

— კი მაგრამ, მე რა ვქნა?

— თქვენ უკვე აღარ ექვემდებარებით რემონტს.

* * *

მოთმინება, რა თქმა უნდა, ძლიერი იარაღია, მაგრამ ზოგჯერ სინანული გიპყრობს, რომ იგი ცეცხლსასროლი იარაღი არ არის...

* * *

ჩემოდანში ყველაზე იოლად, მოსახერხებლად და სასიამოვნოდ ფულის შეკვრები ინწყობა.

* * *

— რით იმუშავებს მომავლის ტრანსპორტი?

— წყლითა და ბალახით.

— და როგორ იმუშავებს ასეთი ტექნიკა?

— ჩვეულებრივად — შეაბამ ცხენს მარხილში...

* * *

იყიდება ძაღლი. ახალი. ერთხელაც არ დაუყეფავს.

* * *

შედის ტიპი საზოგადოებრივ საპირფარეშოში, „მსუბუქ" საქმეზე.

— აიხედე მაღლა! — აწერია კედელზე.

— აიხედა.

— აიხედე კიდევ უფრო მაღლა!

აიხედა, რაც შეეძლო, მაღლა ასწია თავი.

— სასწრაფოდ ქვევით დაიხედე, ფეხსაცმელს ასველებ!

* * *

ტაუ-ჰაუს ინდური დასახლების გათხრებისას აღმოჩენილია კეტცალმიგონკუგანკოატენოჩეტლანიც — დიქციისა და მეხსიერების ღმერთის — სტატუეტი.

* * *

ახალი ამბების ლენტიდან: გუშინ ბომბეიში გაიმართა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „მსოფლიოს მაიმუნები რეგრესისათვის" — პირველი შეკრება.

## სხვადასხვა



გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯოან როულინგის მიერ ჰარი პოტერის შესახებ დაწერილ მეექვსე წიგნში კვდება კიდევ ერთი პერსონაჟი. ბუკმეკერებთან აზარტული მკითხველები ფსონებსაც კი დებდნენ: ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ ეს იქნება ჰაგრიდი, ზოგს კი — პროფესორი დამბლდორი. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ დაიღუპება თვით ჰარი პოტერი. შეგახსენებთ, რომ მეხუთე წიგნის გამოსვლამდეც მკითხველები ასევე ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ ვინ დაიღუპებოდა ჯოან როულინგის ნაწარმოების ახალ ტომში. მეხუთე წიგნში დაიღუპა სირიუს ბლეკი (ფილმში მის როლს გერი ოლდმენი ასრულებს).

* * *

საქვეყნოდ აღიარებული ტენორი ლუჩანო პავაროტი, რომელიც ახლა დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, ვოკალის ორწლიან კურსს გაუძღვება Orazio Vecchi კონსერვატორიაში. მანამდე იგი არასდროს არ ასწავლიდა მუდმივ საწყისზე. პირველ ოც მსმენელს პავაროტი ოქტომბრის დამლევს შეარჩევს.



## ლარის კურსი

**26 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.2682 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8450 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2230 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0626 ლარი. |

## გამოხმაურება

# გადმოსვენება დაუშვებლად მიმაჩნია

## გამოვყოთ სიმბოლური საფლავები!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული რაულ ჩილაჩავას წერილი „შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა" უცხოეთში დასაფლავებულ გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნეშტების სამშობლოში გადმოსვენების საკითხს შეეხება. ჩემი აზრით, სასურველი იქნება მთაწმინდის პანთეონში მათ გამოეყოთ სიმბოლური საფლავები, გაუკეთდეთ შესაბამისი წარწერა იმ ადგილის მისანიშნებლად, სადაც ისინი არიან დაკრძალულნი. ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არსებობს — უინსტონ ჩერჩილი თავის რანჩოში განისვენებს, თუმცა ლონდონის განთქმულ — ვენსტმინსტერის სააბატოში, ეგრეთ წოდებულ ბრიტანეთის პანთეონში აქვს გამოყოფილი სიმბოლური საფლავი.

ნეშტის გადასვენებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები (გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა), რადგანაც ნეშტი შეიძლება დაიკარგოს.

ცნობილია, რომ შექსპირის საფლავის ქვაზე ასეთი ეპიტაფიაა:

**„ქრისტეს გაფიცებთ, შეისმინეთ
მხურვალე ხვეწნა,
ამ ჩემს სამარეს ნუ დაუწყებთ
თხრასა და წეწვას.
ვინც მომასვენოს — გაიხაროს!
და იმას ვწყევლი
ჩემს ძვლებს მიწაში ვინც შეახოს
თავისი ხელი".**

... და მისი ძვლები მართლაც, არავის შეუწუხებია.

სხვა ქვეყნებში დასაფლავებულ მწერლებთან დაკავშირებულია არა მარტო მათი ცხოვრებისეული ფურცლები, არამედ ხალხთა მეგობრული ურთიერთობები. განა დავით გურამიშვილის სასაფლაო უკრაინაში არ ადასტურებს ქართველი და უკრაინელი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას? განა ჩვენ არ გვეამაყება, როცა ქართველმა ხალხმა გამოჩენილ უცხოელ მოღვაწეებს სამუდამო განსასვენებელი საქართველოში მიუჩინა?

ვფიქრობ, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას საქართველოში არა მხოლოდ დავით გურამიშვილის, არამედ უცხოეთში დაკრძალული სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ნეშტის გადმოსვენება; კარგი იქნება, ზედაზენზე აიგოს დავით გურამიშვილის მემორიალი, ისევე როგორც ღირსეული მამულიშვილებისა არსებობს მშობლიურ კუთხეებში. ასევე სასურველი იქნება თუკი მთაწმინდის პანთეონის შესასვლელში აიგება რუსთაველის აკლდამა, ამ ინიციატივის შესახებ ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ვესაუბრე რუსთაველის საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარეს აკაკი ბაქრაძეს, რომელმაც მოიწონა ეს იდეა, მაგრამ რატომღაც ამ მოსაზრებას გაგრძელება არ მოჰყოლია ალბათ იმიტომ, რომ ეს დაკავშირებულია მთაწმინდის პანთეონის რეკონსტრუქციასთან და დიდ თანხებთან.

**ანდრო რურუა,
პროფესორი.**

## თბილისობა — 2004

# რეპეტიცია — დღესასწაული



(მეექვსე გვერდიდან)

კოლორიტულმა „ჩოხოსნებმა" თავიანთ საზოგადოებას 12 წევრი — 7 მამაკაცი და ხუთი ქალი შემატეს.

სასტუმრო „კოჯალას" მველ დარბაზში, რომელსაც ფორაქიშვილების სახელი აქვს მიკუთვნებული, საპატიო თბილისელების არჩევის ცერემონია შედგა. ჩვენს დედაქალაქს კიდევ 6 ღირსეული საპატიო წევრი შეემატა: **კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი, პოეტი ჯემალ აჯიაშვილი, არღნის დიდოსტატი იაკობ ქიტესოვი, თბილისის კოლორიტი ვანიკო მაჭავარიანი, ქალაქ ნანტის მერი შარლ მარკერო და ნიურნბერგის ფესტივალის დირექტორი მაკ მალკოვიჩი.**

ასე დამთავრდა თბილისობა-2004, რომელსაც ჟურნალისტებმა ევროპული უაიდის დღესასწაული შეარქვეს, რომელსაც სახალხოს ვერა და ვერ უწოდებ.

მოდით, ყველამ ერთად ჩავიფიქროთ, მომავალ წლამდე დიდი დროა, იქნებ, თბილისობა-2005 ბევრად უკეთესი გამოგვივიდეს!

**სპარტაკ ქოზულია.**
**ჯემალ კასრაძის, ლევან ბოჭორიშვილის, რობერტ ბაგოიანის და სააგენტო ინტერ-პრესის ფოტო.**







## დღის კალენდარი 26 ოქტომბრისთვის

☼ ამოდის 08.06
ჩადის 18.12

( ამოდის 12.55, ჩადის 20.00

წლის მე-300 დღე, ახალ წლამდე დარჩა 66 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა; ხსენება წმიდა მოწამეების: კარპესი, თეატირელი ეპისკოპოსისა, პაპილა დიაკვნისა, აღათოდორესი და აღათონიკასი, პაპილას დისა; ფლორენტისა და ბენიამინე დიაკვნისა; ღირსი მამის ნიკიტა აღმსარებლისა; წმიდა დიდმოწამის ზლატა ქალწულისა, მოგლენელისა; ღირსი მამის ანტონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და ხუცესმონაზონ იაკობისა.

**გარდაიცვალნენ:**

**1767 — უილიამ ჰოგარტი,** ინგლისელი მხატვარი, დაიბადა 1697 წელს.

**1972 — იგორ სიკორსკი**, ავიაკონსტრუქტორი, დაიბადა 1889 წელს.

**1979 — პაკ ჩონ ხი,** კორეის პრეზიდენტი, დაიბადა 1911 წელს.

**მოვლენები:**

**1863 წელი** — ჟენევაში დაარსდა საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაცია.

**1900 წელი** — ნიუ-იორკში გაიხსნა პირველი მეტროპოლიტენი.

**1956 წელი** — შეიქმნა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

**1979 წელი** — სამხრეთ კორეის პრეზიდენტი პაკ ჩონ ხი საიდუმლო სამსახურის აგენტებმა მოკლეს.

**1994 წელი** — იორდანიამ და ისრაელმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას.

**მედია-ნიუსი.**

## ხსოვნა

### ოთარ ჩერქეზია



გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ოთარ ჩერქეზია, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჩვენი ქვეყნის აღორძინება-განვითარების საქმეს შეალია.

ოთარ ჩერქეზია დაიბადა 1933 წელს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ევტიხი ჩერქეზიას ოჯახში.

1956 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აქტიურად ებმება რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში, 1961-1967 წლებში კი საქართველოს ახალგაზრდობას უდგება სათავეში.

მომდევნო პერიოდში იგი მუშაობს საქართველოს სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის, — საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, თავმჯდომარედ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, არაერთხელ იყო არჩეული საქართველოსა და სსრკ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

1992 წლიდან იგი დიპლომატიურ სამუშაოზეა, არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი რუსეთის ფედერაციაში, ხოლო 2004 წლიდან ასოციაციაში „რუსეთ-საქართველოს საქმიანი საბჭო".

ქვეყნის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დემოკრატიზაციისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

სახელმწიფო საქმეების გაძღოლასთან ერთად ოთარ ჩერქეზია ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საქართველოს საზოგადოებრიობა ოთარ ჩერქეზიას იცნობდა, როგორც კრისტალური პატიოსნების, უაღრესად ერუდირებულ, მრავალმხრივ განათლებულ, პრინციპულ და უკომპრომისო, უდიდესი პასუხისმგებლობით აღჭურვილ მოღვაწეს. ამასთანავე, იგი იყო ერთგული და უღალატო მეგობარი, სხვათა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კაცი.

ოთარ ჩერქეზია დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით, მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენით.

მისი სახელი სამუდამოდ დარჩება საქართველოს უახლეს ისტორიაში და იმათ გულში, ვინც მას პირადად იცნობდა და მასთან ერთად უმუშავია.

**მეგობრების ჯგუფი.**

### გურამ კოტარია



73 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი გურამ კოტარია.

1953 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ტრესტ „საქჰიდროენერგომშენსა" და „ინჟმშენში", ხოლო 1978-2003 წლებში — საქართველოს მინისტრთა საბჭოში ერთ-ერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე.

გურამ კოტარიამ განვლო მშენებლის რთული და სახელოვანი გზა. მისი ხელმძღვანელობით აშენებული არაერთი ღირშესანიშნავი ნაგებობა დღესაც ამშვენებს დედაქალაქს, ხოლო სამთავრობო სტრუქტურებში თითქმის 30 წლის განმავლობაში ყოფნისას მრავალი საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება მოუწია.

საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, მეგობრებისადმი უდიდესი ყურადღების, პატივისცემისა და სიყვარულის გამოვლინება, ახლობელი ადამიანების მიმართ დიდი ზრუნვა, ყურადღება, გულთბილი დამოკიდებულება ბატონ გურამის გამორჩეული თვისებები იყო.

ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ბატონ გურამ კოტარიას მოღვაწეობა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მშენებელი ინჟინრის წოდება.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მოქალაქე, კარგი კაცი, საყვარელი მეგობარი, ტკბილი ძმა, მეუღლე, მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა და გამორჩეული ნათესავი.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო გურამ, ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული!

**მეგობრები, ახლობლები.**

---

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი

ოთარ ჩერქეზია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები დავით, ხათუნა ძოწენიძეები, რძალი ელენე უფლისაშვილი, შვილიშვილები მაგდა, მარი, სანდრო, ლიზიკო ძოწენიძეები, ძმა ირაკლი, და მერი ბაგრატიონები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა გრიგოლის ასული ბაგრატიონი

პანაშვიდი 26, 27 X, 15 სთ. დაკრძალვა 28 X, 14 სთ. მისამართი ქ. თერჯოლა, ვაჟა ფშაველას 17.

---

შვილები ნინო, ლადო მორჩილაძეები, ძმა იაშა გოგბერაშვილი, რძლები ციალა ნიჟარაძე, მარგარიტა მორჩილაძე, ნინო ბერაძე, შვილიშვილები მიშიკო, ნიკა კაციტაძეები, თამუნა, ლევან მორჩილაძეები, დისწულები დარეჯან, ეთერ, გოგი, ილია მაკარიძეები, ძმისწულები ქეთევან, მერაბ გოგბერაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ გოგბერაშვილი-მორჩილაძე

პანაშვიდი 26, 27 X, 17 სთ. დაკრძალვა 28 X, 14 სთ. მისამართი გვეტაძის ქ. №10.

---

შპს „ტრანსსერვისმშენის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების გენერალური დირექტორის ლადო მორჩილაძის დედა

თამარ გოგბერაშვილი-მორჩილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რძალი რუსუდან მაჩაიძე ოჯახით, ზურაბ მაჩაიძე, გია ავაგუმაშვილი და ჭაბუკი არჩუაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინათინ ბექაია-დგებუაძე

პანაშვიდი 26, 27 X, 17 სთ. დაკრძალვა 28 X, 15 სთ. მისამართი შანიძის 14.

---

მეუღლე აკაკი ჟორდანია, შვილები მანანა, ვერიკო, შალვა ჟორდანიები, მაზლი გივი ჟორდანია, რძლები სვეტლანა ბელიავსკაია, მაია არჩვაძე, თამარ კობერიძე, შვილიშვილები გიორგი და ბექა კობერიძეები, ანა და იოანე ჟორდანიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელისაბედ ივანეს ასული კევლიშვილი-ჟორდანია

პანაშვიდი 26, 27 X 16 სთ. დაკრძალვა 28 X 14 სთ. მისამართი ქ. თბილისი ლამის ქ. №36.

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას და თანაუგრძნობენ თავმჯდომარის მოადგილეს შალვა ჟორდანიას დედის

ელისაბედ კევლიშვილი-ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

---

მეგობრები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას და თანაუგრძნობენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს შალვა ჟორდანიას დედის

ელისაბედ კევლიშვილი-ჟორდანიას

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika